ნაციონალებმა თავიანთი უტიფრობით გააბეზრეს ქვეყანა!!!

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოქდ-ვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭოტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 9 თებერვალი. 2017 წ. №30 (8167), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

არამზადეობის გალერეა

4

ბოროტისგან ბოროტება მოდის!

ცხინვალისა და დრანდის ცინცეების ქართველი ტყვეები



8

დაარღვია თუ არა პუტინმა 2008 წლის ომით რუსეთის კონსტიტუცია და ვინ უყიდა აღიარება სოხუმსა და ცხინვალს

2

თან უქიშინებენ, თან სვამენ...

11

ნომრის კარიკატურა

ნარმტბუნელი ფრანგებისა

ანდრია ბითაძე:

წყალ-ბურთი ჩემი სპორტია

10

საწვავის მუდმივი გაძვირება ეჭვს აჩენს

9



როსტომ ჩხეიძე

„დროის იერო-გლიფები“

არაბულ შეგონებად: სახელმწიფოს ჭეშმარიტი საფუძველი

6

7

იოსებ ჭუმბურიძე

თეატრი, რეჟისორი, მსახიობი

მინდა, ავტირდე ვით მეფე ლირი...

ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს საოკუპაციო ძალის რეალურ განზრახვას!

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ცხინვალის რეგიონში რეფერენდუმის დანიშვნასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს:

„საქართველოს მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკას და საოკუპაციო ხაზებით გაყოფილ მოსახლეობას შორის შერიგებისა და ნდობის აღდგენისაკენ მიმართულ ძალისხმევას, სამწუხაროდ, რუსეთის ფედერაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების იზოლაციის გაძლიერებითა და მათი ანექსიისკენ გადადგმული ნაბიჯებით პასუხობს. ამის დასტურია გადაწყვეტილება, ცხინვალის რეგიონისთვის, რუსეთის ფედერაციის სუბიექტის ანალოგიური სახელის მინიჭების თაობაზე, რეფერენდუმის დანიშვნასთან დაკავშირებით. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს საოკუპაციო ძალის რეალურ განზრახვას, თავის შემადგენელ ნაწილად აქციოს საქართველოს განუყოფელი რეგიონები. საერთაშორისო სამართლის თანახმად, უკანონო და ყოვლად მიუღებელია რეფერენდუმის ჩატარება რეგიონში, საიდანაც ეთნიკური წმენდის შედეგად გამოდევნილია ათეულობით ათასი მკვიდრი მოსახლე და ეფექტური კონტროლი ხორციელდება საოკუპაციო ძალის მიერ. მოვუწოდებ საერთაშორისო თანამეგობრობას, ერთიანი ძალისხმევით წინ აღუდგეს რუსეთის ფედერაციის პროვოკაციულ ქმედებებს, ხელი შეუშალოს სუვერენული ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისა და უკანონო ანექსიის პრაქტიკის დამკვიდრებას, რაც ძირს უთხრის რეგიონის სტაბილურობას და დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებულ საერთაშორისო სისტემას“, — ნათქვამია გიორგი კვირიკაშვილის განცხადებაში.

ოთხპუნქტიანი გეგმა შესრულდება!

რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულების საქმიანობის კოორდინაცია და გუბერნატორების როლი მთავრობის მიერ დაგეგმილი პროექტების ეფექტური განხორციელების პროცესში იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილისა და გუბერნატორების სამუშაო შეხვედრის ძირითადი თემები.

მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულების ჩართულობის აუცილებლობას მთავრობის მიერ დასახული ამბიციური გეგმების განხორციელებაში და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი საკითხების ოპერატიულად გადაჭრის პროცესში, ეფექტურ და შედეგზე ორიენტირებულ კოორდინაციას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. **შეხვედრისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მთავრობის ოთხპუნქტიანი რეფორმების გეგმის ფარგლებში დაგეგმილ პროექტებს, რომელთა მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დაწყებულია. პრემიერმა გუბერნატორებს მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელების პროცესში მაქსიმალური ჩართულობისკენ მოუწოდა.**

პრეზიდენტი ამერიკის სავაჭრო პალატის წევრებს შეხვდა

შეხვედრას ამერიკული, საერთაშორისო და ქართული კომპანიების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ღონისძიებას ამერიკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი მაიკლ ქაუგილი მასპინძლობდა. შეხვედრა დახურულ რეჟიმში გაიმართა.

საქართველოს პრეზიდენტმა ამერიკის სავაჭრო პალატის წევრებთან შეხვედრისას საქართველოსა და რეგიონში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევების შესახებ ისაუბრა. **პრეზიდენტის განცხადებით, რეფორმებმა უზრუნველყო ლიბერალური, სტაბილური, დაცული და კორუფციისგან თავისუფალი ბინზესგარემო, რომელიც საქართველოს ხელსაყრელ გეოგრაფიულ ადგილმდებარეობასთან ერთად აქცევს მას ინვესტიციებისთვის მიმზიდველ ქვეყნად.**

დაარღვია თუ არა პუტინმა 2008 წლის ომით რუსეთის კონსტიტუცია და ვინ უყიდა აღიარება სოხუმსა და ცხინვალს

პროფესიონალმა ჟურნალისტმა, ჟურნალ „კავკასიური აქცენტის“ ყოფილმა მთავარმა რედაქტორმა ჰამლეტ ზუკაკიშვილმა მიხეილ ზიგარის წიგნი „კრემლის მთელი ამალა. თანამედროვე რუსეთის მოკლე ისტორია“ ქართულ ენაზე თარგმნა. დოკუმენტური პროზის ამ ნიმუშში პირველად არის აღწერილი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები ხელისუფლებაში ვლადიმირ პუტინის მოსვლის შემდეგ და მთელი მეცხრე თავი 2008 წლის ომს ეძღვნება.

როგორც ჰამლეტ ზუკაკიშვილი აღნიშნავს, მისთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო, შეეტყო, რომ თანამედროვე რუსეთის მოკლე ისტორია 2000 წლიდან, ფაქტობრივად, სწორედ პუტინით და საქართველოს მიმართ მისი დამოკიდებულებით განისაზღვრებოდა და რომ საქართველოსთან 2008 წლის ომი თავად რუსეთის კონსტიტუციის დარღვევით გამოცხადდა:

„საქმე იმაშია, რომ სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე საკუთარი ჯარების შესაყვანად რუსეთის პრეზიდენტი/მთავარსარდალი ვალდებულია, ფედერალური კრების ზედა პალატის თანხმობა მიიღოს, 2008 წელს კი ეს არ გაკეთებულა. შესაბამისად, კანონიერი საფუძვლები საქართველოში ჯარების შემოსაყვანად პუტინს არ ჰქონდა“.

გარდა ამისა, წიგნში მოყვანილია იმის ამსახველი ფაქტები, თუ როგორ მიაღწია რუსეთმა სოხუმისა და ცხინვალის აღიარებას.

„როგორც ცნობილია, აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ვენესუელამ და ნიკარაგუამ აღიარეს. ამ წიგნში აღწერილია, თუ როგორ მოხდა ეს. ირკვევა, რომ მთავარი როლი ამაში პუტინთან დაახლოებულმა პირმა, პეტერბურგიდან დაწყებული, მისმა მეგზურმა იგორ სეჩინმა შეასრულა. მოგეხსენებათ, იგი ჯერ პუტინის მდივანი იყო, ხოლო შემდეგ რუსული პოლიტელიტის განუსაზღვრელი ძალაუფლების მქონე წარმომადგენლად იქცა. სეჩინი საგანგებოდ იყო ჩასული სამხრეთ ამერიკაში და დიდი ფინანსური დათმობების ფასად ვენესუელისა და ნიკარაგუის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარებას მიაღწია“, — ყვება ჰამლეტ ზუკაკიშვილი.

მანანა კობახიძე მოსამართლე გახდა

მანანა კობახიძე საქართველოს პარლამენტმა ფარული კენჭისყრით საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ დაამტკიცა. დეპუტატებმა ერთად უყარეს კენჭი ორ საკითხს — კობახიძისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეჩერებას და მოსამართლედ დანიშვნას. კენჭისყრის შედეგები ასეთია — 101 მომხრე და 10 წინააღმდეგი.

ირაკლი კობახიძე: ჩვენი მთავარი მიზანია სრული ინტეგრაცია ევროპულ სტრუქტურებში

ჩვენი მიზანი ევროსტრუქტურებში სრული ინტეგრაციაა, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ პირველ საგაზაფხულო სესიაზე. მისი თქმით, ვიზალიბერალიზაცია ქვეყნის მთავარი მიღწევაა, თუმცა სამომავლო მიზნად ევროსტრუქტურებში ინტეგრაცია რჩება.

„ეს ნამდვილად არის ჩვენ ქვეყნის დიდი მიღწევა. ეს არის თითოეული მოქალაქის მიღწევა, ხელისუფლების მიღწევა და აქ მყოფი თითოეული ადამიანის მიღწევა. ევროპარლამენტის გადაწყვეტილებით ჩვენი მოქალაქეებისათვის ყველა ის სიკეთე გახდება ხელშესახები, რომელიც ევროპულ ინტეგრაციასთან არის დაკავშირებული. ეს ჩვენი ქვეყნისთვის ბოლო წერტილი არ არის — ამ მიმართულებით ჩვენი მთავარი მიზანია სრული ინტეგრაცია ევროპულ სტრუქტურებში. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით ეს მიზანიც უახლოეს პერიოდში მიღწეული იქნება“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

სვანეთს, ლეჩხუმსა და რაჭას თავისი გუბერნატორები უნდა ჰყავდეს?!

ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ წევრი ემზარ კვიციანი პარლამენტის საგაზაფხულო სესიის პლენარულ სხდომაზე რამდენიმე ინიციატივით გამოვიდა, მათ შორის, ერთ-ერთი ასევე ეხებოდა იმას, რომ სვანეთს, ლეჩხუმსა და რაჭას თავისი გუბერნატორები ჰყავდეს.

„მინდა, ჩემი მშობლიური მხარის სათხოვარი გავაჟღერო, ანუ რაჭველების, ლეჩხუმლებისა და სვანების. საქართველოში თუ არსებობს სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი და საერთოდ ინსტიტუტი, მაშინ ამას ყველა კუთხე იმსახურებს. სამეგრელოს თავისი პრობლემა ჰყოფნის, რომ სვანეთი არ ჰქონდეს აკიდებული. ზემო სვანეთი კი არის იმის ღირსი, რომ თავისი გუბერნატორი ჰყავდეს ქვემო სვანეთთან ერთად, ლეჩხუმს ლეჩხუმელი ჰყავდეს და რაჭას — რაჭველი, ამიტომ ჩვენ, „პატრიოტთა ალიანსს“ გვაქვს წინადადება, ამაზე მოქმედება ხელისუფლებამ რაც შეიძლება მალე დაიწყოს, რადგან ეს ხალხის მოთხოვნაა“, — განაცხადა კვიციანმა.

პარლამენტის საგაზაფხულო სესია გაიხსნა

მეცხრე მოწვევის პარლამენტის საგაზაფხულო სესია ჰიმნის ფონზე გაიხსნა.

პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე მანანა კობახიძის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად არჩევის საკითხი განიხილეს. 2017 წლის საგაზაფხულო სესიის ფარგლებში, გუშინ ბიუროს სხდომაც გაიმართა. პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ბიუროს წევრებს ახალი საკანონმდებლო ინიციატივები და საორგანიზაციო საკითხები გააცნო.

ნარკომანი „გირჩელები“ რეფერენდუმის გამართვის ინიციატივით გამოდიან!

პოლიტიკური ცენტრი „გირჩი“ ნარკოტიკების მოხმარების გამო ადამიანების სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარების ინიციატივით გამოდის. როგორც „გირჩის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ზურა ჯაფარიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, ისინი სარეფერენდუმო საკითხის დასარეგისტრირებლად ცესკო-ს უახლოეს დღეებში მიმართავენ. ჯაფარიძის განცხადებით, რეფერენდუმი ოქტომბერში, თვითმმართველობის არჩევნების დროს უნდა ჩატარდეს.

ჯაფარიძის თქმით, ცესკო-სგან პასუხის მიღების შემდგომ, 200 000 ხელმოწერის შეგროვებას დაიწყებენ და სწორედ რეფერენდუმის შედეგად, თავად მოსახლეობა გასცემს პასუხს კითხვას, უნდა ისჯებოდეს თუ არა ადამიანი ნარკოტიკების მოხმარების გამო. ჯაფარიძემ აღნიშნა, სწორედ რეფერენდუმი დაუსვამს წერტილს მათ მიერ მთელი ამ ხნის განმავლობაში წამოწყებულ პროცესებს.

„საინფორმაციო სამსახურში მუშაობენ ადამიანები, რომლებიც არაკონკურენტუნარიანები არიან სხვა ტელევიზიის კოლეგებთან შედარებით“

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოადგილე ია ანთაძე აცხადებს, რომ მოსალოდნელ ტესტირებასთან დაკავშირებით არხის თანამშრომლები ინფორმირებულები იყვნენ. მისი თქმით, საინფორმაციო სამსახურის პროდიუსერებმა არხის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის დროს, მთავარ პრობლემად თანამშრომლების კვალიფიკაცია დაასახელეს:

„გასული წლის სექტემბერში იყო საუბარი იმასთან დაკავშირებით, რომ უნდა მომხდარიყო თანამშრომლების ტესტირება და რანგირება, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ გარკვეულიყო რა ანაზღაურება უნდა ჰქონოდათ საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლებს, განსაკუთრებით მათ, ვისაც აქვს ძალიან დაბალი ხელფასი. აქ, საინფორმაციო სამსახურში მუშაობენ ადამიანები, რომლებიც აბსოლუტურად არაკონკურენტუნარიანები არიან სხვა ტელევიზიის კოლეგებთან შედარებით.

როდესაც ჩვენთან იყვნენ პროდიუსერები საინფორმაციო სამსახურის, ჩვენ მათ ვკითხეთ რა არის პირველი პრობლემა თქვენთვის, მათ თქვეს პირველი პრობლემა არის კვალიფიკაცია თანამშრომლების...მასობრივი გათავისუფლება ნიშნავს 100 ადამიანზე მეტის გათავისუფლებას ერთდროულად და საინფორმაციო სამსახურში თუ ჩვენ ასე გვაქვს საქმე, რომ იქიდან ტესტირების შემდეგ 100 ადამიანი უნდა გათავისუფლდეს, მაშინ ბევრად უარესად ყოფილა აქ საქმე, ვიდრე მე წარმომიდგენია“, — განაცხადა ანთაძემ.

„ლეიბორისტული პარტია“ დააყადაღეს

„ლეიბორისტული პარტიის“ საბანკო ანგარიშები დაყადაღებულია. ამის შესახებ პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გუგავამ ისაუბრა.

გუგავა ამბობს, რომ ყადაღა პარტიის ანგარიშს პოლიტიკური ნიშნით, პირადად ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებით ფინანსთა მინისტრმა დაადო. „ლეიბორისტული პარტია“ საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს მიმართავს და მოუწოდებს, ამ ფაქტთან დაკავშირებით საკუთარი ქვეყნების მთავრობები საქმის კურსში ჩააყენონ, რათა მათი ზეწოლით მოხდეს პარტიის ანგარიშის ყადაღის მოხსნა. გუგავა მათგან ასევე მოითხოვს ივანიშვილის უცხოურ ანგარიშებს დაედოს ყადაღა.

ოთარ დანელია იტალიელ მეწარმეებს შეხვდა

აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ოთარ დანელიამ იტალიელი მეწარმეები ბრუნო როსინი და ფრანჩესკო სკარლსელი მიიღო.

შეხვედრაზე ისაუბრეს საქართველოში მეღვინეობის განვითარების საკითხებსა და სოფლის მეურნეობის სხვა სფეროებში არსებულ მდგომარეობაზე.

იტალიელი მეწარმეები, რომლებიც ღვინის დარგის სპეციალისტები არიან, დაინტერესდნენ ღვინის დაყენების ქართული, ტრადიციული ტექნოლოგიით და ინტერსი გამოხატეს ქართული ღვინის ტრადიციული მეთოდებით იტალიაში ღვინის დაყენებასთან დაკავშირებით. შეხვედრაში ასევე მონაწილეობდა საგანგებო დავალებათა ელჩი, 2012-2014 წლების საქართველოს პარლამენტის წევრი, ყოფილი კონსული იტალიაში სოსო დანელია.

რუსების 44 პროცენტი სიკვდილით დასჯის მომხრეა

რუსეთის მოსახლეობის ნახევარი სიკვდილით დასჯას მხარს უჭერს. სოციოლოგიური გამოკითხვა „ლევადა ცენტრმა“ რუსეთის დიდ ქალაქებში ჩაატარა. გამოკითხულთა 44 პროცენტის აზრით, მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის სასიკვდილო განაჩენი უნდა მოქმედებდეს, 41 პროცენტისთვის კი სიკვდილით დასჯა მიუღებელია. 15 პროცენტს ამ საკითხზე საერთოდ არ უფიქრია.

სიდნეიში მიწა ჩაინგრა

სიდნეის გარეუბანში მიწა ჩაინგრა. ინციდენტი ავსტრალიის პრემიერ-მინისტრის მალკოლმ სტერნბულის სახლის წინ მოხდა. შემთხვევის ადგილზე სამაშველო ბრიგადები და პოლიცია მუშაობს. გიგანტური ორმოს გაჩენას გადაუღებელ წვიმას და წყალდიდობას უკავშირებენ. პრემიერის სახლი არ დაზიანებულა, თუმცა მისი ოჯახი დროებით სასტუმროში იცხოვრებს.

რუსეთს სანქციები უნდა გაუგრძელდეს!

რუსეთს სანქციები უნდა შეუნარჩუნდეს. ამის შესახებ გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა და პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა ბეატა შიდლომ ვარშავაში შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს. მათი თქმით, რუსეთს სანქციები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუმსუბუქდება, თუ მოსკოვი მინსკის შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესრულებას დაიწყებს.

დონეცკში სეპარატისტთა მეთაური გივი მოკლეს

დონბასელ სეპარატისტთა ცნობილი მეთაური გივი მოკლეს. ამის შესახებ რუსული მედია იტყობინება. გავრცელებული ინფორმაციით, უკრაინელი სამხედროების წინააღმდეგ განსაკუთრებული სისასტიკითა და არაადამიანური მოპყრობით გამორჩეულ მიხაილ ტალსტიხს, იგივე გივის ტერაქტი მოუწყვეს. ის დონეცკში საკუთარ კაბინეტში ააფეთქეს. მკვლელობის სხვა დეტალები ამ დრომდე უცნობია.

პირველი ვერტიკალური ტყე აზიაში

ჩინეთში, კერძოდ კი ნანძინგში ვერტიკალური ტყის გაშენება იგეგმება. საქმე იმაში გახლავთ, რომ დაგეგმილია ცათამბჯენის აშენება, რომელზეც 2,500 ბუჩქი და 1000-ზე მეტი ხე იქნება.ამ რაოდენობის მცენარის განაშენიანება კი დღეში გამოიწვევს 60კგ ჟანგბადის გამოყოფას. პროექტის დასრულება 2018 წელს იგეგმება, მისი არქიტექტორი კი იტალიელი სტეფანო ბოერია. ცათამბჯენში იქნება საოფისე ფართები, მუზეუმი, სკოლები, საცხოვრებელი ფართები და 247-ოთახიანი ჰაიატის სასტუმრო. მსგავსი ტიპის ცათამბჯენი უკვე დგას, მილანში და დაგეგმილია მისი აშენება შვეიცარიაშიც.

დაკოტაში მილსადენი მაინც აშენდება

აშშ არმიამ დაკოტაში მილსადენის მშენებლობის უფლება გასცა, რომელსაც შესაძლოა, კიდევ ერთი სკანდალი მოჰყვეს. საქმე დაკოტაექსესის ნავთობსადენს ეხება, რომლის ინფრასტრუქტურასა და ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე პასუხს არმიის საინჟინრო კორპუსი აგებს. სანავთობო მაგისტრალის მშენებლობა ობამას ადმინისტრაციამ ინდიელთა რეზერვაციების პროტესტის გამო გასული წლის ბოლოს აკრძალა. მილსადენი რეზერვაციის ტერიტორიაზე გადის და ეკოლოგიურ საფრთხეს ქმნის. ინდიელები აცხადებენ, რომ ტრამპის მიერ გაცემულ განკარგულებას მილსადენების მშენებლობის განახლების შესახებ სასამართლოში გაასაჩივრებენ.

აქციზი მატულობს, წარმოება მცირდება

ლუდის **რეალიზაცია მკვეთრად შემცირდა. შარშანდელთან შედარებით, პროდუქციის გაყიდვებმა, დაახლოებით, 15%-ით იკლო. პირველ რიგში, ეს აქციზის გადასახადის გაზრდამ გამოიწვია, რასაც ლარის გაუფასურებაც დაემატა. მთავრობა მზად არის მწარმოებლებთან შესახვედრად და ლუდზე აქციზის განაკვეთის დაანგარიშების ახალი სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად.**

აქციზის ახალ სტრუქტურაზე გადასვლის ვალდებულება საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით აქვს აღებული, რაც მიმდინარე წლიდან უნდა განხორციელდეს. თუმცა ბიზნესმენებს უფრო მეტად გადასახადის განაკვეთის შემცირება აინტერესებთ, რასაც ისინი უკვე წელიწადზე მეტია ითხოვენ.

ბიზნესომბუდსმენის მოვალეობის შემსრულებელი **ზურაბ ძნელაშვილი** განმარტავს, რომ ლუდზე აქციზის დაანგარიშების სტრუქტურა წელსვე შეიცვალება, მაგრამ იმგვარად, რომ განაკვეთი არ შეიცვალოს.

„აქ არის ორი საკითხი — ერთი თვითონ სტრუქტურის დადგენა და მეორე განაკვეთის ოდენობის შეცვლა. სტრუქტურას რაც შეეხება, ეს აუცილებლად შეიცვლება და განაკვეთი დადგინდება სიმკვრივის, ანუ ლუდში ალკოჰოლის შემცველობის მიხედვით.

რაც შეეხება განაკვეთის ოდენობას. ლუდის ინდუსტრია ითხოვს მის შემცირებას და ჩვენ მხარს ვუჭერთ ამ მოთხოვნას. დავაყენეთ ეს საკითხი ეკონომიკური გუნდის წინაშე, თუმცა ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილება მიღებული. შეიძლება სტრუქტურა შეიცვალოს, მაგრამ იმდაგვარად, რომ განაკვეთი არ შეიცვალოს“, — აცხადებს ზურაბ ძნელაშვილი.

პარალელურად შემოსავლების სამსახური ლუდის მწარმოებელ ინდუსტრიასთან შესახვედრად მზად არის.

„ბიზნესს არასდროს უჭირდა კომუნიკაცია არც მთავრობასთან, არც ნებისმიერ სამინისტროსთან. ჩვენ მზად ვართ მოვუსმინოთ, შევხვდეთ და ვიმსჯელოთ“, — აღნიშნა „ბიზნესკონტაქტთან“ საუბრისას შემოსავლების სამსახურის უფროსმა გიორგი თაბუაშვილმა.

ლუდზე აქციზის განაკვეთი 2015 წლის მარტში 40 თეთრიდან 60 თეთრამდე გაიზარდა. აქციზის განაკვეთის გადახედვის საკითხი კერძო სექტორსა და მთავრობას შორის დღემდე დგას. კომპანია „ყაზბეგის“ დამფუძნებელი **გოგი თოფაძე** ამბობს, რომ ლუდის რეალიზაციის კლება მოსალოდნელი იყო.

„ბოლოდროინდელმა ეკონომიკურმა პროცესებმა, ლუდის ბიზნესზე ძალიან ცუდად იმოქმედა. მას წინ უძღოდა აქციზის განაკვეთის ზრდა, რის გამოც პროდუქტის ფასმა მოიმატა. როდესაც გადასახადი მატულობს, პროდუქტი ძვირდება და რეალიზაცია იკლებს — ეს აქსიომაა. მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა იმდენად დაბალია, რომ, ბუნებრივია, რეალიზაცია უნდა შემცირებულიყო.

ლარის კურსსაც თუ გავითვალისწინებთ, მთლიანობაში, ბიზნესი რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა. წარმოებისათვის ნედლეულს ვყიდულობთ უცხოეთში დოლარსა და ევროში. აქედან გამომდინარე, ხარჯი გაიზარდა.

სანამ ლარი არ გამყარდება, არაფერი გვეშველება. დაახლოებით 15%-ით შეგვიმცირდა როგორც რეალიზაცია, ასევე წარმოებაც. გაზაფხულიდან დაიწყება სეზონი, იმედია, მდგომარეობა გამოსწორდება, ჯერჯერობით, პრობლემასთან გამკლავება გვიძნელდება“, — აცხადებს თოფაძე.

ბექა დანელია

ბოროტისგან ბოროტება მოდის!

ანჩხლი და უნასი ნურსა საკუთარ ტყავში უნდა გამძვრალიყო და მოწინააღმდეგე „კანონმდებელზე“, სხვა საჭირო პერსონებზე გავრცელებული ოდნავ საეჭვო თუ თუნდაც ყურმოკრული ჭორი, იმდენი ჭუჭყითა და სიბინძურით გაებუქა, რომ მიზანში ამოღებული ობიექტი თავის მოსაკლავად გამზადებულიყო.

ცნობილია, რომ ზედმეტად მომცრო ტანის ადამიანები, მომეტებულად კი ქალების გარკვეული ნაწილი, რატომღაც მტკივნეულად განიცდიან ტანმოკლეობას და მეტად აგრესიულები და ანჩხლები, დაუნდობლები და ბოროტები გახლავან. და, რომ იტყვიან, ვაი მას, ვინც მათს სნეულ ყბაში ჩავარდება. გამძვინვარებულ-განრისხებულები, თავსდამტყდართ არანაირად არ დაინდობენ და ყველაფერს აკადრებენ, შხამიან ასპიტს დაჯაბნიან მათს დაგესვლასა და ლამის მოკვდინებაში. მათთვის მიუღებელია დანდობის, შეწყალების, შენდობა-შეცოდების, მიტევება-პატიების ცნებები. ძალიან მარტივად და გასაგებად რომ ვთქვათ, ასეთი არსებანი არნახულად უადამიანოები და კაცთმოძულეები არიან: საბედნიეროდ, ისინი ცოტანი არიან და ვერავის ვერაფერს აკლებენ!

შესანიშნავმა პოეტმა რეზო ამაშუკელმა ირმა ნადირაშვილი „ანტიბაძტერიული რეკლამის მოხტუნავე ჯოჯოს“ შეადარა“ („ილორი“, 2016 წ. №390).

2003 წლის ნოემბერში შეერთებულ შტატებში ბუშის, ბაიდენის, მაკკეინისა და სხვათა სცენარით გათამაშებული „ვარდსურნელოვანი რევოლუცია“, შევარდნაძის „გადადგომით“ და ხელისუფლების „მშვიდობიანად“, „რევოლუციონერებისთვის“ გადაცემით უნდა დასრულებულიყო. სწორედ იმ დღეებში, ხელისუფლების ჩამომრთმევლების მომხრეებითა და დაცვით გარშემორტყმულ შევარდნაძეს აწკნავლებულ-გამყინავი ხმით რომ ჩასძახის – პრეზიდენტო, სად მიდიხარო, ირმუშკა ბრძანდება. მაშინ ნადირაშვილი „რუსთავი-2“-ის „კალმოსანი“ გახლდათ და საკაშვილის გულშემატკივარი, მოვლენების შუაგულში დაბზრიალებდა.

იქიდან დაიწყო მიშიკასი და მისი ძმაკაც-დაქალობა. ცხრა წლის განმავლობაში აკეთეს ქვეყნისა და ერის დამანგრეველ-დასაბნელებელი საზიანო საქმეები; მაშინდლიდან მოჰყვებათ გაუბედურებული ხალხის გაუნელებელი წყევლა და ლანძღვა-გინება. ავის მქმნელებსა და მოძალადეებს აუცილებლად წინ დახვდებათ ნამოქმედარის სავალალო შედეგი და აუსრულდებათ ხალხისგან მიგებული.

კარგა ხანს „იღვაწა“ ყოველგვარ განათლებაზე მწყრალად მყოფმა ირმუშკა ნადირაშვილმა კერპად გამხდარი სააკაშვილის „რუსთავი-2“-ში, მისნაირ კოლეგა-„კალმოსნებთან“ ერთად, უზადოდ რომ ასრულებდნენ მთავარ მოთხოვნასა და დევიზს – მაყურებლისთვის არასდროს ეთქვათ სიმართლე, თეთრი ყოველთვის შავად გაესაღებინათ; ტყუილისა და ცრუ ფაქტების მოხმობით, უიმედობასა და სასოწარკვეთილებაში ჩაეგდოთ ისედაც იმედდაკარგული და ხელჩაქნეული ადამიანები. ყველაფერ ამის შემძლენი უნდა ყოფილიყვნენ უკიდურესად უზრდელები, უტიფრები და თავხედები, ყველაფრის მკადრებლები და ყველაფერზე წამსვლელები, ანტიქართველები და კოსმოპოლიტ-მანქურთები...

ვიტყვით, რომ ტელეკომპანიის ხელმძღვანელობა ამ მხრივ არასდროს არ შემცდარა. „კალმოსნების“ უმრავლესობა ზუსტად შეესაბამებოდა დადგენილ ნორმა-სტანდარტებს. ისე, რომ ერთი ციცქნა ნაცქალუკა ნადირაშვილი მომგებიანი „ნადავლი“ გახლდათ. სხვა მხრივ, ერთობ უნიჭო ირმუშკა მაგარი ჩავარდნა იყო, ნაციონალებისგან ქართული ტელესივრცის „ლიდერად“ გამოცხადებული „რუსთავი-2“-ისთვის. ახლობლებისგან **ნურსად** მოფერებულის ოღრო-ჩოღრო ქართულით დამღლელად მოლაპარაკის მდარე და უგემოვნო, უშინაარსო-პრიმიტიული და და უღიმღამო „ტელესიუჟეტები“, ყოველთვის ჭორებზე და ყურმოკრულ, თვალსამხვევ ტყუილებზე იყო აგებული.

ДАВИТ ДАЛЕЛАШВИЛИ

სწორედ ასეთი ენაჭარტალა და ღვარძლიანად მოსისინე „კალმოსანი“ აწყობდათ ნაციონალებსა და მის ჭკუამინჯღრეულ ფსიქოპათ ბელადს. აღბათ, ამის გამო გადაწყვიტა ასეთი „მარგალიტის“ ახლოს ყოფნა-დაგულება და ირმა საკუთარი აპარატის „ნაჩალნიკის“ მოადგილედ დანიშნა. აქედან გამომდინარე, ადვილი წარმოსადგენია თუ რა იყო, რა დანიშნულება ჰქონდა და რა ხარისხით საქმიანობდა ის აპარატი, რომლის უფროსის მოადგილეც „კალმოსანყოფილი“ ნადირაშვილი გახდა. თუმცა, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა სულაც არა ჰქონდა მიშიკასთვის. მისთვის, ძირითადი და მთავარი იყო, უტიფრობის, თავხედობისა და უზრდელობის ყველანაირ ზღვარს გადამხტარ მოცუცქნული ირმუშკას, მიშიკას ნებისმიერი მოწინააღმდეგისთვის ანგარიშგასასწორებელი ყველანაირი ბინძური ტყუილის „კომპრომატები“ და „მამხილებელი“ ცნობები შეეკრიბა.

და იგიც კანში ძვრება, ვინ იცის რა გზებითა და ხერხებით მოპოვებულ ჭუჭყიან ცილისმწამებლურ მასალებსა და ცნობებს ამზადებდა ქართველთმოძულე ტირანისთვის მიუღებელი ადამიანების გასაწირად და უმეტეს შემთხვევაში, ფიზიკურად გასანადგურებლადაც.

ეკა ბესელია: პარლამენტარი: „ირმა ნადირაშვილი კორფუციაშია ჩაფლული“ („ვერსია“, 2015 წ. №132).

სააკაშვილის რეზიდენციაში „ნაჩალნიკობის“ დროს, ენაჭარტალა და გველაძუა ირმუშკას დიდად არ აკითხებდნენ თანაგუნდელ-პარტიელების ოჯახების წევრებს, ახლობლებსა თუ ნათესავებს რა თანამდებობები ეკავათ; მინისტრები, მისი მოადგილეები თუ სხვა მაღალი თანამდებობების პირები რითი სუნთქავდნენ; ვისთან რა ბნელ საქმეებში იყვნენ გახლართულები, ვინ რამდენ ფულს იპარავდა, რამდენი საყვარელი ჰყავდა და ა. შ.

შესაძლებელია, ყველაფერს ხედავდა და ბევრ რამესაც ისმენდა, მაგრამ თვითონ ღრმა ჭუჭყში ჩაფლული, პირს როგორ გააღებდა და ვისზე რას იტყოდა? ცხადია, ბელადის ენატანია და დაუნდობელმა შიკრიკმა, ბევრი რამ იცოდა, მაგრამ პირში წყალი ჰქონდა ჩაგუბებული. იმ დროს ასე აწყობდა – მუნჯი, ყრუ და ბრმა იყო. ოდნავ რამე რომ წაეწკმუტუნა, იმავ წუთს ჭიტლაყს უჭერდნენ და იქნებ სულაც საპყრობილეში ჩაემწყვდიათ.

ამასობაში, გულბოროტი და უადამიანო, ყველას შეუბრალებლად გამწირველ-ჩამშვები ნაცქალუნა ირმუშკა, შიზოფრენი შეფის სულ უფრო მეტ ნდობასა და მხარდაჭერას იხვეჭდა. ყველანაირი დასაძრახი და დანაშაულებრივი ბრძანება-დავალების შემსრულებელმა ციდა არსებამ, ქვეყნის ბიუჯეტის საკუთარ ნებაზე მხარჯველი სააკაშვილის ხროვის წევრებთან ერთად, გრიალ-ბზრიალითა და ფეშენებელურ სასტუმროებში, ბარ-რესტორნებში დროსტარება-ღრეობით შემოირბინა უცხოეთის ქვეყნები. ხომ გაგიგიათ, მისნაირებზე ნათქვამი – უნახავმა რა ნახაო.. და, ის რომ ნახა. ისეა ირმუშკას საქმე. ქართველთმოძულე ატამანმა, „ნაჩალნიკობამორგებული“ ადამიანების გაუგონრად მოძულე და გამწირველი ანჩხლი ნაცქალუკა, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ჩაფლავების მერე, სახელდახელოდ შეკოწიწებული ნაციონალური კომანდის „კანონმდებლად“ წამოასკუპა.

საქართველოდან გაპარულმა მიშიკამ იცოდა, რომ სხვა კაპასი ნაცქალუკები, ირმუშკასავით ვერ შეძლებდნენ მოწინააღმდეგეების გაშავებას, ტალახის სროლას და ცილისწამების მორევში ჩაძირვას, უამრავი ბრალდების, ტყუილის მოგონებას და უტიფრულ-თავხედურად შეურაცხყოფას... ამას გარდა, ანჩხლი და უნასი ნურსა საკუთარ ტყავში უნდა გამძვრალიყო და მოწინააღმდეგე „კანონმდებელზე“, სხვა საჭირო პერსონებზე გავრცელებული ოდნავ საეჭვო თუ თუნდაც ყურმოკრული ჭორი, იმდენი ჭუჭყითა და სიბინძურით გაებუქა, რომ მიზანში ამოღებული ობიექტი თავის მოსაკლავად გამზადებულიყო.

აი, ეს იყო გამწევ „ძალა-კანონმდებლად“ გამწესებული ირმუშკას საპარლამენტო საქმიანობა. უნდა ითქვას, რომ ჭორის ბუდესა და პირწავარდნილ პროვოკატორს ამ მხრივ არაფერი შეეშლება და თვალის დახამხამებაში, რუსთავის საპენსიო ფონდში სახრავ-სასუსნავის საშოვნელად მოაყუჩა.

ასეა, სხვის თვალებში ბეწვის დამნახავი, თავისებში სათვალით დირესაც ვერ ხედავდა.

ირმა ნადირაშვილი: „მიხეილ გიორგაძემ საგარეგნო პასუხი გამცა გიგი უგულავაზე, მაგრამ ბევრი ფული კი წაიღო სახლში („ახალი თაობა“, 2016 წ. №281).

სახლში ფულის წაცუნცულებაზე მავნესა და ვერაგს ირმა ნადირაშვილს ხმა როგორ ამოეღება. ამასა ჰქვია, ჩემი შენ გითხარიო... განა, ცოტაჯერ ექნება ამგვარი რამ გასკვანჩული; განა, როდისმე იტყოდა უარს ასეთ სიამოვნებაზე?

ერთს ვიტყვით გამორჩეულად: ირმუშკა არ იყო, მისნაირი ავისმქმნელი, კოლეგებისგან მზეზე შეტრუსულ ღორად სახელშერქმეულ ზურაბ ჯაფარიძესთან ერთად, აზერბაიჯანიდან კონტრაბანდულად რომ შემოაცუნცულეს მილიონი (შეიძლება, მეტიც) დოლარი? იქნებ ინებოს და სხვათა საქმეების მჩიჩქვნელ-მჩხრეკელმა, თავისებურად დაწვრილებით მოყვეს ჩადენილ უმძიმეს დანაშაულზე – ჯერ ბაქოს აეროპორტში ოთხსაათიანი სამარცხვინო და სახელ-ღირსებაშემლა-

ხველ დაკითხვისა და მერე თბილისში იმავეს გამეორების თაობაზე. მთელმა საქართველომ ხომ ნახა, როგორ პირკატანაცემი და გაშავრკინებული მიიპარებოდა, თავს როგორ არიდებდა ტელეკამერებს, ნირწამხდარი კონტრაბანდისტი ნაცქალუკა.

უდავოა, ყველაფერი იმით დასრულდებოდა, რომ ბაქოდან ჩამოტანილი კონტრაბანდული დოლარებიდან, კარაპეტა მიშიკა, მცირეოდენ ნაწილებს, დავალების შემსრულებლებს გადმოუგდებდა და ატეხილ უძალო ხმაურს, უმტკივნეულოდ მიაჩუმათებდა. არ არის გამორიცხული, დადგეს დრო და სამართალდამცველმა ორგანოებმა ხელი მოჰკიდონ ამ საქმეს და მომხდარში გასარკვევად, დანაშაულის მონაწილე კონტრაბანდისტი ნურსა დაჰკითხონ...

აი, ასეთი დანაშაულების ჩამდენი ურცხვი და თავხედი არსება, ხელს გამუდმებით სხვებისკენ იშვერს და თათხავს და ლაფს ესვრის ადამიანებს.

ძალზედ სამარცხვინოა და უპატიებელი საქართველოს ხელისუფლებისგან, მაშინ მომხდარი უმძიმესი დანაშაულის კიდევ უფრო დანაშაულებრივად ჩაფარცხვა. ნაციონალი ქალაჩუნა ქურდაბაცაცა მიხეილ მაჭავარიანის საყვარელი სიტყვისა არ იყოს, მართლა უნიათო და უსუსურმა ხელისუფლებამ, მეგობარ სახელმწიფოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობისთვის „ჩრდილის მიყენება“ არ ისურვეს და ხმაურიანი სკანდალი სასწრაფოდ ჩაფარცხეს.

ირმა ნადირაშვილმა შეძლო და დღემდე მოახერხა ყველაფრისგან თავის დაძვრენა და ფონს გასვლა. თუმცაღა, ნაადრევია ცოდვიანი თავის ხელშეუხებლად დაგულება. არა გვგონია, მართლა მშვიდად ბრძანდებოდეს შავი საქმეების კეთებითა და მრუდე გზით ნაშოვნით ცხოვრებამოწყობილი.

ირმა ნადირაშვილის ოჯახის 2015 წლის შემოსავალმა 114 517 ლარი შეადგინა. ბუნებრივია, 2016 წელს გაცილებით ბევრს მოხვეტავდა ნამცეცა „კანონმდებელი“. გარდა ამისა, 2012-2014 წლებში, ნაცქალუკას საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფისთვის 21 865 ლარი დახარჯულა“ („ახალი თაობა“, 2015 წ. №196).

ირმა ნადირაშვილის მეორე ნახევარს, დავით დაღელაშვილს კი 2014 წელს, ბანკ „რესპუბლიკაში“ ისე, სხვათაშორის, 31 000 დოლარი მოუყუჩებია. თქმა არ უნდა, „გამგებელყოფილი“, მას მერე კიდევ ბლომად მიუმატებდა ვინ იცის რა გზით ნაშოვნ მწვანე ტკიცინ-შრიალა ბანკნოტებს.

რა კარგად არის ნათქვამი, თანაც ზედმიწევნით ნაცქალუკა ირმა ნადირაშვილზე მისადაგებულად: „ყველაზე უბედური ბოროტია, რადგან გესლის მეტი არაფერი გააჩნია!“

რა მაგარი სიმართლეა!

გელა ჯიღაური,
იანვარი, 2017 წელი

ჭეშმარიტების დადგენა ქვეყანასა და ხალხს სჭირდება!

ისევ ყბადაღებული არჩევნები

საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებულ პრობლემას ჯერ კიდევ 2001 წელს გამოვეხმაურე სტატიით „პოლიტიკოსები იწყებენ ქურდობას, ქურდები – პოლიტიკურ საქმიანობას“. მას შემდეგ, არაერთხელ, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, გავაანალიზე ეს უპირველესი პრობლემა, სააშკარაოზე გამოვიტანე მასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი სიმახინჯე, მაგრამ, რომ იტყვიან, „შეაყარე კედელს ცერცვი“. ამ მიმართებით განსაკუთრებით გავაქტიურდი ხელისუფლებაში „ოცნების“ მოსვლის შემდეგ, რათა მათ მხარში ამოვდგომოდი და ჩემი მოკრძალებული წვლილი შემეტანა ამ უპირველესი საზრუნავის სახელმწიფოებრივად გადაწყვეტის საქმეში. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაშიც „ჩამივარდა კოვზი ნაცარში“. ცალკეული პუბლიკაციებით ვერავითარ შედეგს რომ ვერ მივაღწიე, მარტო გასულ 2016 წელს, ცალკე ბროშურებად გამოვეცი: „როდემდე უნდა გვჯიჯგნონ ვაი-პოლიტიკოსებმა“; „როდის დადგება ჟამი ერის გამოღვიძებისა“ და „ჯანსულ ღვინჯილია – სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნების ნიმუში“, რომელშიც სრულად არის მოცემული მისი უკვდავი ნაშრომი – „არჩევნების პროფესიონალიზმი“.

აქაც სრული იგნორირება!

გავკადნიერდები და ჩვენს მკითხველს შევახსენებ მხოლოდ რამდენიმე ამონარიდს ჩვენი ზემოაღნიშნული ნაფიქრალიდან:

> **– „ხელისუფლებამ, აუცილებელია, დღის წესრიგში დააყენოს ქვეყნის კონსტიტუციაში და შესაბამის კანონმდებლობაში რადიკალური ცვლილებების შეტანა იმ ვარაუდით, რომ შემდგომ საპარლამენტო არჩევნებში, ე.წ. პოლიტიკურ პარტიებს, რომლებმაც სრულად დაკარგეს მოსახლეობის ნდობა და არარაობად იქცნენ, მაქსიმალურად შეეზღუდოთ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის საშუალება და გარკვეული ხნით პრაქტიკულად, უარი ეთქვათ ე.წ. პროპორციულ არჩევნებზე“ (2012 წ.).**
>
> **„ამომრჩეველი, ვიღაცის მიერ სხვადასხვა მაქინაციებითა და შავი ინტერესებით შედგენილ სიაში შეტანილი ვიღაც კარიერისტის ნაცვლად, მხარს დაუჭერს თავის თემში, სოფელში, რაიონში, ქალაქში გამორჩეულ პიროვნებას, ვისზეც არსებობს რეალური დადებითი საზოგადოებრივი აზრი, ვინც უკვე საქმით დაამტკიცა ეროვნული ცნობიერებისადმი ერთგულება და ვისაც სერიოზული ვალდებულებები აქვს საკუთარი ამომრჩევლისა და მთლიანად ქვეყნისადმი“ (2012 წ.).**
>
> **– „პოლიტიკური ასპარეზიდან, ანუ ქვეყნის მართვის სადავეებიდან ე.წ. პოლიტიკოსთა ჩანაცვლების ჩვენეულ ვარიანტს ბევრი არარეალურად ჩაგვითვლის, მაგრამ ამ უკურნებელი სენისგან გათავისუფლების სხვა გზა აღარ ჩანს. წამლებით მკურნალობა დაგვიანებულია და „ავადმყოფს“ ვეღარ ვუშველით. საჭიროა რადიკალური ქირურგიული ჩარევა, რაც სარისკოა, მაგრამ სასიცოცხლოდ აუცილებელი“ (2012 წ.).**
>
> **– „არ შეიძლება ენდო ისეთ ე.წ. პოლიტიკოსს, რომელმაც პარტიულ სიაში გამსვლელი ადგილის მოპოვებისათვის ან მაჟორიტარად არჩევისათვის ქრთამი გაიღო. დიახ, ქრთამი გაიღო, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ამავე სიბრტყეში განვიხილავ ყველა გრანტიჭამია პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც ლამაზი თვალებისთვის გრანტს არავინ მისცემს“ 2015 წ).**
>
> **„არჩევნებში ხმა უნდა მივცეთ უანგარო, თავის საქმეზე შეყვარებულ მაღალპროფესიონალ ეკონომისტებს, იურისტებსა და პოლიტოლოგებს, რომელთა დეპუტატად არჩევა გახდება იმის გარანტი, რომ ახალმა პარლამენტმა, ბოლოს და ბოლოს, მიიღოს ისეთი კანონები, რომლებიც საქართველოში რეალურად ააღორძინებს ათწლეულობით მიტოვებულ მრეწველობას და სოფლის მეურნეობას, დაასაქმებს ასიათასობით უმუშევარს, უზრუნველყოფს გაღატაკებული მოსახლეობის კეთილდღეობას“ (2015).**

ჩვენს ყველა პუბლიკაციაში მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები და წინადადებები, თუ რა გზითა და საშუალებით უნდა გადაწყდეს: არჩევნების ობიექტურად ჩატარებასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა; პარლამენტართა იმუნიტეტისა და პრივილეგიების ჩამონათვალთა დახვეწა; სახელმწიფო ბიუჯეტიდან ე.წ. პოლიტიკურ პარტიათა ნებისმიერი საქმიანობის დაფინანსების მიზანშეუწონლობა; პარლამენტის მაჟორიტარული თუ პროპორციული წესით ჩატარების თაობაზე რეფერენდუმის მოწყობის აუცილებლობა და ა.შ.

საგულისხმოა ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოებაც. გასული თხუთმეტი წლის განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ჩვენს პოზიციებთან დაკავშირებით, რომელიმე ე.წ. პოლიტიკოსს, თუნდაც ტელეფონით ან პირადი შეხვედრების დროს გამოეთქვა თავისი დამოკიდებულება ჩვენი წინადადებებისა და მოთხოვნებისადმი. ხმამაღლა ნათქვამად თუ არ ჩამეთვლება, გავრისკავ და ვიტყვი, რომ ჩემი მათდამი ნორმალური პირადი ურთიერთობების მიუხედავად, მათ ზედმეტი თავის ტკივილი აირიდეს და ჩემთან დაპირისპირება არ ჩათვალეს გამართლებულად.

ქვეყნის უმნიშვნელოვანესი პრობლემისადმი ე.წ. პოლიტიკოსთა არაადეკვატური დამოკიდებულების ფონზე ძალზე გამახარა მიმდინარე წლის 2 თებერვალს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულმა გამოკვლევამ „უკონტროლობა რყვნის, აბსოლუტური უკონტროლობა აბსოლუტურად რყვნის“, რომლის ავტორია ბელგიაში მცხოვრები ქართველი, ბატონი ომარ ხახაშვილი, რომელიც სრულად გამოხატავს ჩვენს აბსოლუტურ მხარდაჭერას გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (18.12.16) გამოქვეყნებული სტატიისადმი „ქვეყნის გადარჩენის შანსი უნდა გამოვიყენოთ! “ – ღია წერილი საკონსტიტუციო ცვლილებების კომისიის ყველა წევრს.



ანზორ გაბუნიდია,
რიგითი ამომრჩეველი

P. S. როგორც წესი, ყველა ჩემს საპოლემიკო წერილს ასე ვამთავრებდი: მზად ვარ, ნებისმიერ დაინტერესებულ მხარესთან, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ფორმატში გავმართო დისკუსია, რათა ერთხელ და საბოლოოდ დადგინდეს ჭეშმარიტება, რომელიც ქვეყანას და ხალხს... და არა ცალკეულ სუბიექტებს მიიყვანს საბოლოო გამარჯვებამდე.

ჩემი პოზიცია დღესაც უცვლელია!

ა. ბ.

ეკა ბესელია ელისაშვილის 20500 ლარით დაჯარიმებას ითხოვს - „არაფერი აღარ დარჩა ამ იაფფასიანი ცრუპენტელასაგან“

„შეწყალების სკანდალთან“ დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოში ეკა ბესელიამ ალეკო ელისაშვილის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. ბესელია ელისაშვილისთვის ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელი განცხადებების გამო ჯარიმის – 20 500 ლარის დაკისრებას ითხოვს.პარლამენტისა და საკრებულოს დეპუტატებს შორის სასამართლო დავაზე პირველი პროცესი უკვე გაიმართა. მომდევნო პროცესი 28 თებერვალს ჩაინიშნა. თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი ეკა ბესელიას და მანანა კობახიძეს, ქრთამის აღებაში ადანაშაულებს – ბრალდებები ელისაშვილმა თოქ-შოუ „არჩევანშიც“ გაიმეორა. ელისაშვილს ბესელიამ სოციალურ ქსელით უპასუხა.

„საბრალო ელისაშვილი რა დღეშია“, დღეს სასამართლო პროცესზე მივაბრძანე, სადაც მის წინააღმდეგ შეტანილი ჩემი სარჩელის განხილვა იყო და ისეა გამწარებული, გაავებული ლამის გული ამიჩუყოს...

ემზარ კვიციანი ცილისწამების გაუქმებული მუხლის აღდგენას ითხოვს!

ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ წევრის ემზარ კვიციანის განცხადებით, საზოგადოება ცილისწამების გაუქმებული მუხლის აღდგენას ითხოვს.

„2005 წელს ჩვენდა სამწუხაროდ, ეუთოს რეკომენდაციით გაუქმებული იქნა ცილისწამების მუხლი, რომელიც ჩვენი ქვეყნის მტრებმა და კერძოდ, ტერორისტმა სააკაშვილმა გამოიყენა ჩვენი ხალხის საწინააღმდეგოდ. დიდი გამოხმაურება ჰქონდა საზოგადოებაში ამას და საზოგადოება ითხოვს, რომ აღდგენილ იქნას ეს მუხლი. რატომ ვართ წინააღმდეგები ამ მუხლის აღდგენის, ვერ გავიგე. თითქოსდა სიტყვის თავისუფლებას ეწინააღმდეგება, რა საერთო აქვს ცილისწამებას და სიტყვის თავისუფლებას ერთმანეთთან?! ვისაც არ გამოუცდია, რა არის ცილისწამება, ღმერთმა ნურავის გამოგაცდევინოს. დღესაც არ არიან გამოსულები სტრესიდან ჩემი შვილები ამ ცილისწამების გამო. არსებობს ბავშვთა უფლებების დამცველები და ამაზე ხმას არ იღებენ. წარმოიდგინეთ, ბავშვი, რომელსაც მშობელზე ესმის ცილისწამება, თან ტელევიზიებით. იქნება შევაჩეროთ ეს უბედურება, რომელიც, სხვათაშორის, მთელი მსოფლისოთვის არის პრობლემა“, – განაცხადა კვიციანმა.

სტრასბურგის სასამართლომ მაია რჩეულიშვილის მიმართვა არ დააკმაყოფილა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჯანმრთელობის გამო საპატიმროდან დროებით გათავისუფლების შესახებ კომპანია „ცენტრ-პოინტის“ დამფუძნებელი მაია რჩეულიშვილის ადვოკატების მიმართვა არ დააკმაყოფილა.საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსის ბექა ძამაშვილის გამცხადებით, მაია რჩეულიშვილის საპატიმროდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გათავისუფლების შესახებ ვალდებულება, დროებითი ღონისძიების სახით, ევროპულ სასამართლოს საქართველოს მთავრობისთვის უნდა დაეკისრებინა. მაია რჩეულიშვილის ადვოკატი მარინე ცუცქირიძე კი აცხადებს, რომ აღნიშნულ მიმართვაზე დოკუმენტაციის სახით არანაირი პასუხი ჯერ არ მიუღიათ.

„საჩივრის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ვასაჩივრებდით, რომ მაია რჩეულიშვილს არასწორად შეეფარდა აღკვეთის ღონისძიება. შეიძლებოდა მსუბუქი სახით შეფარდებოდა გირაო ან სხვა. რაც შეეხება ჯანმრთელობის მდგომარეობას, ეს მოვიყვანეთ დამატებით არგუმენტად და ამ საფუძვლით ვითხოვდით, რომ საკითხი რიგგარეშე განეხილათ. ამაზე გვითხრეს უარი, თუმცა ეს უარი ჩვენამდე არ მოსულა“, – აღნიშნა ადვოკატმა.

არაბულ შეგონებად: სახელმწიფოს ჭეშმარიტი საფუძველი

მოდი და ამის შემდეგ გეგონოს, რომ ამინ არ-რეიჰანი ქართველი მწერალი არ არის!..

წასულიყო ის დრო, დრო იმ პოლიტიკოსთა და ეკონომისტებისა, რომელნიც ფიქრობდნენ: **სახელმწიფოს ხალხი, იდეები და მორჩილება აშენებსო.**

მართლა წასულიყო თუ?..

ყოველ შემთხვევაში ამინ არ-რეიჰანს მიაჩნდა ასე და მკითხველს მიუთითებდა მთავრობისადმი ხალხის დამოკიდებულებაზე: დღეს მას სულითა და გულით არ ემსახურებიან და არც ემორჩილებიანო.

და მოიყვანდა დიდი ბრიტანეთის მაგალითს:

მას რომ კოლონიები ჩამოართვა, ლონდონში ხელისუფლება შეირყევა ჩაკეტილი სახელმწიფო უწყებების თანამშრომელთა, გულგრილ ჩინოვნიკთა მრავალრიცხოვანი ჯარი გამოიღვიძებს და ერთ ღამეში კიდეც მოუღებს ბოლოს მთავრობასო.

მაგრამ თუკი კოლონიებიდან საოკუპაციო ჯარებს გამოიყვანდნენ?

ხელისუფლება მყისვე მის კანონიერ პატრონს დაუბრუნდებოდა.

მწერალი აღიარებდა, რომ იქ მომუშავე ადგილობრივთა რიდი არც მას ჰქონდა.

და მიიჩნევდა, რომ: თუკი ეს რიდი მის თვისტომთ ან ევროპელებს ექნებოდათ, ხელისუფალთა სიკეთე დაქვემდებარებულებზეც მოახდენდა გავლენას და კაპიტალისტთა და არისტოკრატთა ინტერესს ერის ინტერესამდე აამაღლებდა.

მაშ რა გამოდიოდა?

თუ ევროპული ქვეყნების ჯარები თავიანთ მმართველთა და ოფიცრების საქმეებს გაკიცხავდნენ კოლონიებში, ხელისუფლება მაშინვე მის ბუნებრივ მფლობელებს ჩაუვარდებოდათ ხელთ.

— ბუნების სამართლიანობა ხომ კანონისაზე უპირატესია.

და რაც მთავარია:

უზარმაზარ სახელმწიფოთა ჩრდილი მათივე ავთენტურ გეოგრაფიულ ცენტრებამდე შემცირდებოდა.

დიახ, მოსალოდნელი გახლდათ, რომ დიდი, ძლევამოსილი, ძალაუფლების მქონე, შემდგარი სახელმწიფოებიც დაპატარავებულიყვნენ.

და ეს მაშინ, თუ ჯარები მათ მმართველებს არ დაემორჩილებოდნენ.

მაგრამ მათი საყრდენები მთლად მოიშლებოდა, თუ კოლონიების მმართველებად ადგილობრივთა ნაცვლად თავიანთ წარმომადგენლებს დანიშნავდნენ, შვილებს იმ ქვეყნისა, რომლის დროშებიც და საარტილერიო იარაღიც დაპყრობილი მიწების თავზე იქნებოდა აღმართული.

ეჭვს არ იწვევდა ის, რომ რეგიონის მმართველები და კანცელარიის უფროსები კოლონიზატორთა მონები გახლდნენ, რომელთაც დღეს თუ თანამდებობიდან მოხსნიდი, ხვალ ხელისუფლებასთან დაპირისპირებისა და მისი დამხობის თაოსანნი გახდებოდნენ.

ამ ძალის სათავეს სად გულისხმობდა?

დიდი, დიდებული მეფის დიდსულოვან მოწადინებაში, თუმცა ეს მაინც ხელოვნურ ძალად მიაჩნდა, თანდათან რომ მინავლდებოდა, როცა კი ერებსა და ხალხებში განათლების გავრცელება იმატებდა.

ესეი ამინ არ-რეიჰანისა — „მომავლის სახელმწიფო“, ნინო დოლიძის მიერ შემოტანილი ჩვენს ენობრივ სივრცეში — აფორიზმივით სტრიქონით დაიწყებოდა:

— სახელმწიფო პატარაა სამართლიანობის გარეშე, შეზღუდულია, უსარგებლოა ღვთისმოსაობის გარეშე.

მისკენ ხალხი მოუწოდებდა, მისით ხალხი ხარობდა.

განთიადი ორსულდებოდა მისგან. სინათლე შობდა მას.

მეტაფორულ სახეებს მოიმარჯვებდა მის დასახასიათებლად?

რასაკვირველია, თორემ სხვაგვარად ისე შთამბეჭდავად ვერ განაცდევინებდა მკითხველს ცოდნის საძირკველზე ამოზრდილ, ლიტერატურის, რელიგიის ძუძუთი ნაკვებ იმ მომავლის სახელმწიფოს არსსა და დანიშნულებას, უკვე ხელისგაწვდენაზეც რომ დაეგულებინა.

იდეალურ კონტურებს ქმნიდა მომავლის სახელმწიფოსი არ-რეიჰანი?

იდეალურს, ოღონდ არა რაღაც აბსტრაქტულსა და ჰაერში გამოკიდებულებს, არამედ ბუნებრივი გეოგრაფიული საზღვრების მქონე ქვეყანას, სადაც არა ესაქმებოდა რა და არც სიტყვა ეკუთვნოდა იმას, ვინც ამ მიწაზე არ გაზრდილიყო.

ხალხი იხარებდა მისით.

და ეს განათლებული და სულიერი სახელმწიფო იქნებოდა, სადაც უსამართლობის კვალიც არ მოიძევებოდა, და სადაც მარტოდენ ერთგულება, მეგობრობა, ძმობა და მშვიდობა დაივანებდა. მისი მმართველები კი ბრძენნი, ფილოსოფოსნი და ხელოვანნი იქნებოდნენ — ხალხის მიერ არჩეულნი.

და მათი მოწოდება სხვა რა იქნებოდა, თუ არა ეს:

სახელმწიფო მოსახლეობისათვის და არა მოსახლეობა სახელმწიფოსათვის.

და ხალხის სიხარული მომავლის სახელმწიფოს დაუკავშირდებოდა.

რაო, რას ირწმუნებოდა ზოგიერთი პოლიტიკოსი თუ ეკონომისტი?

მეცნიერება თავისი კვლევებითა და გამოგონებებით მომავალში სახელმწიფოთა კეთილდღეობის საწინდარი იქნებაო?

მაგრამ... საერთაშორისო იმპერიალიზმის რადიკალური მომხრენი რომ არ იზიარებდნენ ამ შეხედულებას?

და მტკიცედაც აცხადებდნენ:

დიდი მომავალი მხოლოდ დიდ სახელმწიფოებს ეკუთვნით, აი იმათ, დროშები და ქვემეხები შავკანიანი, ყვითელკანიანი თუ თეთრკანიანი ხალხებისაკენ რომ მიუმართავთო.

და მაშ... პატარა სახელმწიფოები?

ისინი თანდათან გაქრებოდნენ, განადგურდებოდნენ, იმ გაბატონებულ ერებს შეერწყმოდნენ, უმრავლესობას ვინც წარმოადგენდნენ.

XIX საუკუნის აქეთია სულ ეს გვესმის და სულ ამას ჩაგვჩიჩინებენ?

რუსეთის იმპერიის დამკვიდრება საქართველოსა და მთელს კავკასიაში უკეთეს ხვედრს არას გვიმზადებდა, გარდა იმისა, თანდათან გავმქრალიყავით, გავნადგურებულიყავით და გაბატონებულ ერს შევრწყმოდით, და ეს აზრი ისე უნდა ჩაეგონებინათ ჩვენთვის, ისე გავემსჭვალეთ, კიდეც ხელებჩამოყრილნი და უღონონი მივყოლოდით დინებას და აღსასრული გვეპოვა რუსულ ოკეანეში.

კიდეც ამიტომ დაუპირისპირდებოდნენ ჩვენი ეროვნული მოღვაწენი ნიჰილიზმსა და სასოწარკვეთას, როგორც დასაწყისს მოლიპული გზისა, იმ საბედისწერო ოკეანეში რომ ამოგვაყოფინებდა თავს.

რუსული საფრთხე კვლავაც მძლავრია და ულმობელი, და ახლა ამერიკული საფრთხეც მიმატებია, ოღონდ მას რატომღაც საფრთხედ კი არა, ბედნიერების ხანად აღგვითქვამენ, თითქოს ამერიკულ ოკეანეში შთანთქმა რაიმეთი სჯობდეს რუსულ ოკეანეში განზავებას.

ეროვნული სახის დაკარგვას თუ შეეგუები და ქართული მოდგმის გადაშენებას, რა მნიშვნელობა ექნება, შთანმთქმელად რომელი ქვეყანა მოგევლინება.

დასავლეთთან თანასწორუფლებიან პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობას ვესწრაფით, ჩვენი თვითმყოფადობის შენარჩუნების საწინდარს, თორემ... მეფე ერეკლესავით თუ დაგვაყენებენ სასტიკი რეალობის წინაშე, რაღა გამოვა!..

იმას რუსეთთან სწორედაც თანასწორუფლებიანი სამხედრო და პოლიტიკური ურთიერთობის გაბმა ეწადა და... არა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ეკლესიის ავტოკეფალიის დამხობა-მოსპობა.

პატარა სახელმწიფოები თანდათან გაქრებიან, განადგურდებიან, გაბატონებულ ერებს შეერწყმიანო...

და ასეთ დროს რაოდენ სანუგეშოა და დამაიმედებელი ყოველი საღი აზრი, დიდპატარაობით რომ არ განსაზღვრავს სახელმწიფოთა არსებობას და ყველას თავთავის ადგილს მიუჩენს მსოფლიო რუკაზე, როგორც ერთნაირად აუცილებელს საკაცობრიო ცხოვრების ბუნებრივი მდინარებისათვის, რათა მცირერიცხოვან ხალხთა გადაყლაპვის შემდგომ თვით იმ დიდტანიან სახელმწიფოებსაც არ დაუდგეთ განსაცდელისა და საბედისწერო ჟამი.

სანუგეშოა და... ამინ არ-რეიჰანიც ჩვენს გვერდით უნდა ვიგულვოთ, არაფრისდიდებით რომ არ ეგუება მცირერიცხოვან ხალხთა სუვერენობის ჩაკარგვას დიდი ქვეყნების ჩრდილში, ცოდნისა და რევოლუციის კვერთხი რომელთაც უგდიათ ხელთ.

ვერა, ვერ მიიზიდავდნენ დიდი სახელმწიფოები პატარებს ისე, როგორც კომეტა მეტეორს, და ვერც შთანთქავდნენ.

დასუსტებული ქვეყნების ხალხის აწინდელი ყოფა დამაიმედებლად ვერ გამოიყურებოდა და თითქოს... თითქოს განამტკიცებდა კომეტისა და მეტეორის მეტაფორას?

მაგრამ დაე, ნუ შეეგუბოდი ამ მდგომარეობას და ყოველმხრივ გეცადა, რათა შენს წიაღში მეცნიერების ჭეშმარიტი შუქი და ჯანსაღი თავისუფლება ამობრწყინებულიყო.

— ცოდნასა და თავისუფლებას კი ეროვნება არა აქვს!

ანდაზასავით გაისმის, არა?

ანდაზას კი აღარავინ ამოწმებს, როგორც უტყუარსა და ერთხელ და სამუდამოდ დადგენილს.

და მიმართავდა ლიბანელი მწერალი იმათ, რომელთაც თავიანთ ქვეყნებში თავისუფლების შუქურა აღემართათ, კოლონიებში კი მისთვის ფარდა ჩამოეფარებინათ:

თავისუფლება თქვენი წინაპრების საკუთრება არ არისო!..

მაინც რისა ეიმედება არ-რეიჰანს?

როდესაც ცოდნასა და განათლებას დასუსტებული ერები შეიძენდნენ, მათი მიზანი თანდათან გაიზრდებოდა და მათი ხელიც გაძლიერდებოდა. საკუთარი მიწის საგანძურს, თავიანთი სიმდიდრის ღირსშესანიშნაობებს შენიშნავდნენ და აუცილებლობადაც მიიჩნევდნენ ცოდნისა და თავისუფლების გზაზე შედგომას, რადგან არ არსებობდა ერი, რომელიც განთიადის სინათლეში იდგა, შემდეგ კი წინ წაწევას წყვდიადში დაბრუნებას ამჯობინებდა.

როდესაც სულიერად ძლიერდებოდა ადამიანი, როდესაც მასში მატულობდა ჭეშმარიტი ძალა, ნასაზრდოები დაფარული, ღვთიური წყაროთი, იგი კიდეც ლამობდა, გაქცეოდა პოლიტიკურ წისქვილს, რომელიც მისი სურვილების დაფქვასა და დანაწევრებას, მაღალი სულიერების, პიროვნულობის, ინდივიდუალობის განადგურებასაც შეძლებდა, თუკი ჩაეთრევინებოდი.

წინ მხოლოდ ასე თუ აღუდგებოდი — სულიერი განვითარებით, სულიერის გაბატონებით მატერიალურზე.

და თუკი მსოფლიოში ასეთ დაუმორჩილებელ რეფორმატორთა (ჭეშმარიტ რეფორმატორთა და არა ყალბისმქნელთა თუ ცრუქაქუნათა) რიცხვი გაიზრდებოდა, დამთრგუნველი და დაუნდობელი ხელისუფლება შესუსტდებოდა და მისი დამღუპველი აჩრდილიც თანდათან დაპატარავდებოდა.

ეს ყოველივე განუმტკიცებდა აზრს, რომ მომავალი მხოლოდ პატარა ქვეყნებს ეკუთვნოდათ, ისეთებს, დიდები რომ არიან სამართლიანობით, მმართველთა ღირსეულობითა და მოუსყიდველობით, ფასეული და არა ცოდვილ დიდ სახელმწიფოთა მსგავსი გეგმებით. მომავალი ადგილობრივ, სრულიად დამოუკიდებელ მთავრობებს ეკუთვნოდათ. მომავლის სახელმწიფო თვითონ განვითარდებოდა და საკუთარ თავს მოემსახურებოდა. ის პატარა და შემოსაზღვრული იქნებოდა, დიდ, საერთაშორისო პოლიტიკურ ამბიციათაგან თავისუფალი, და მარტოდენ თავისი ინტერესების მსახური.

ისე სახელმწიფო პატარა როდის არის?

სამართლიანობის გარეშე როდესაცაა დარჩენილი.

სულიერად განვითარებულ და გაზრდილ ქვეყანაში ვეღარც შეაღწევდა უსამართლობა და იქ მხოლოდ უსაფრთხოება, მშვიდობა გამეფდებოდა.

ეს მომავლის სახელმწიფო მომავლის ქალაქში ეგულებოდა ლიბანელ მწერალს, მის ემბრიონს კი პატარა ერებში, მცირე დაჯგუფებებში ჭვრეტდა — ყველაფერი, რაც დაფარულიყო, ადრე თუ გვიან გამოჩნდებოდა. მოვიდოდა ყველაფერი, რაც მოსასვლელი იყო. და ხალხს კიდეც დაუდგებოდა ნამდვილი სიხარულის ჟამი.

* * *

მომავალი მხოლოდ პატარა ქვეყნებს ეკუთვნითო...

მომავლის სახელმწიფოს ემბრიონი პატარა ერებში, მცირე დაჯგუფებებში იმალებაო...

მოდი და ამის შემდეგ გეგონოს, რომ ამინ არ-რეიჰანი ქართველი მწერალი არ არისს!..

როსტომ ჩხეიძე.

მინდა, ავტირდე ვით მეფე ლირი...

მართალს ვიტყვი, შევიქმნები,
ტყუილისა მოამბე რად?
დავით გურამიშვილი

ის დავით გურამიშვილი იყო!

ჩვეულებრივ მოკვდავთ მხოლოდ სუბიექტური აზრის გამოთქმა შეგვიძლია.

თუმცა ბევრი დიდი მოაზროვნე ამტკიცებს, რომ ნებისმიერი აზრი სუბიექტურია.

ქალბატონ ქეთი დოლიძეს მით უფრო ვერავინ დაარწმუნებს ჩემი მოსაზრებების ობიექტურობაში.

არც იმას დაიჯერებს, რომ მისი სპექტაკლის სანახავად კეთილგანწყობილი მივდიოდი.

არადა, ზუსტად ასე იყო – ძალიან მინდოდა, მომწონებოდა და ეს, უწინარესად, ქალბატონი ნინელი ჭანკვეტაძისთვის მეხარებინა.

* * *

მკითხველი რომ არ დაიბნეს, სასწრაფოდ უნდა ითქვას, რომ საუბარია თუმანიშვილის თეატრის სპექტაკლზე „ტრამვაი „სურვილი“.

პიესის („ტრამვაი სახელად „სურვილი“) ავტორი – **ტენესი უილიამსი.**

რეჟისორი – **ქეთი დოლიძე.**

მთავარ როლში – **ნინელი ჭანკვეტაძე.**

* * *

მკითხველს (მაყურებელს) უმალვე გაახსენდება ამ პიესის მიხედვით ჯერ კიდევ 1951 წელს შექმნილი ფილმი(რეჟისორი – ოსკაროსანი ელია კაზანი), რომელიც არა თუ უფროს თაობას, ჩემს თერთმეტი წლის თეკლასაც ძალიან მოსწონს.

* * *

მოდით, დავსვათ კითხვა: რაზეა პიესა?

შაბლონურ კითხვას ასეთივე პასუხი მოჰყვება: ზნეობაზე, სიკეთეზე, ადამიანურ თანაგრძნობაზე, ძალადობასა და სათნოებაზე, სიყვარულზე, ველურ ინსტინქტებსა და უნაზეს გრძნობებზე, დაბალ ხელფასსა და დაკარგულ საცხოვრისზე...

ესეც „ლეგიტიმური კითხვაა“: რატომ დგამს დღეს ქართული თეატრი ამერიკელი დრამატურგის ამ პიესას?

აქ კითხვის ნიშანს კითხვა - ძახილის, ანუ გაოცების ნიშანი შეცვლის: რატომ არ უნდა დადგას?!

მთავარია, როგორ დადგამს.

* * *

საწყისი შთაბეჭდილება:

დღევანდელ თეატრში ფარდა ხომ თითქმის აღარ არსებობს, ამიტომაც დაკარგულია მოლოდინის განცდა, მოულოდნელობის ეფექტი, ფარდის გახსნას რომ მოჰყვებოდა ხოლმე.

არც ეს არის მთავარი.

მთავარია, რა გვხვდება „თავიდანვე გაშიშვლებულ“ სცენაზე.

მით უფრო დღეს, როცა თეატრისთვის ოდითგანვე დამახასიათებელი პირობითობა უკიდურესობამდეა მისული.

თუმანიშვილის თეატრი კი ზომიერი პირობითობითა და დიდი გემოვნებით შესრულებული დეკორაციებით გვხიბლავდა.

საბედნიეროდ, ორი თვალსაჩინო მაგალითი დღესაც ცოცხალია – „ბაკულას ღორები“ და „ჩვენი პატარა ქალაქი.“

* * *

ავეჯით გადატვირთული სცენა.

მარცხნივ – სამზარეულოს სრული გარნიტური, ნამდვილი მაცივრით, ქვაბებით, თეფშებით, ჭიქებით, დანებით, საჭრელი დაფით, ნაგვის ურნაც კი არ დავიწყებიათ...

მარჯვნივ – საძინებელი, ვეება საწოლითა და გამმიჯვნელი ფარდით (ა, ბატონო, ფარდა, თუმცა აჯობებდა, აქ თეჯირი ყოფილიყო), სარკე, რადიო...

ვერ ვიტვით, რომ სცენაზე არსებული ყველა „თოფი“ ისვრის, მაგრამ ზოგიერთი ნივთი, მაგალითად, ხორცის საჭრელი(თუ საკეპი) ვეება დანა ნატურალისტური სიზუსტითაა გამოყენებული, თითქოს ეს აუცილებელი იყოს პერსონაჟის ველური ბუნების წარმოსაჩენად, ნატურალისტური და უცვლელი დეკორაცია თავიდანვე მძიმე შთაბეჭდილებას ქმნის..

უკანა მხარეს – ვიტრაჟი, რომელიც ლანდებს აირეკლავს – საკმაოდ ეფექტური ხერხი, თუმცა სრულიად არაორიგინალური.

მაგრამ მთავარი ხომ მსახიობია.

მსახიობები!

იქ – **ვივიენ ლი** და **მარლონ ბრანდო!**

აქ – **ნინელი ჭანკვეტაძე** (ბლანში) და **იმედა არაბული**(სტენლი).

შეგეშინდება!

ნინელის შესაშინებელი არაფერი სჭირს.

ვივიენ ლისაც კი დაგავიწყებს.

ჭეშმარიტი პროფესიონალიზმი, ოსტატობა, განცდის სიწრფელე, უფაქიზესი ფსიქოლოგიური სვლები, ბუნებრივი გადასვლები ერთი სულიერი მდგომარეობიდან მეორეში, სიცილ-ტირილის დამაჯერებელი მონაცვლეობა.

ალკოჰოლთან ურთიერთობა.

ცნობილია, რა დიდ გემოვნებასა და ოსტატობას მოითხოვს მთვრალი კაცის განსახიერება.

მთვრალი ქალი?! – ეს, ალბათ, ბევრად უფრო რთულია.

ამას მხოლოდ ნინელი ჭანკვეტაძის ოსტატობა თუ გასწვდება.

გვიჩვენებს კიდეც შესრულების მაღალ კლასს.

* * *

და მაინც შეგეცოდება.

დიახ, შეგეცოდება, რადგან ასეთი ოსტატი მდარე გემოვნებით დადგმულ სპექტაკლში თამაშობს.

ეს რომ თუმანიშვილს დაედგა?!

თანაც უფრო ახალგაზრდა ნინელი ჭანკვეტაძისთვის?!

ადვილი წარმოსადგენია, რა იქნებოდა.

რამდენ ენერგიას ხარჯავს!

უბრალოდ, ენერგიას კი არა, დიდ სულიერ ძალებს.

როგორ იწვის სცენაზე!

ისე იწვის, რომ სიბნელესაც კი ანათებს.

სიბნელე? – ამას რეჟისორს ვერ დავაბრალებთ – პიესიდან მოდის.

უფრო ზუსტად, კლასიკური პიესის მაღალი დანიშნულებიდან – სიბნელე, იმედი სხივით რომ უნდა გაკვეთოს.

ეს მთელმა სპექტაკლმა უნდა შეძლოს.

ნინელი ჭანკვეტაძე ამ მძიმე ტვირთს, არსებითად, მარტო ეზიდება.

სპექტაკლში ბრწყინავს ვარსკვლავი, მაგრამ არ ჩანს სამსახიობო ანსამბლი, რისთვისაც მიხეილ თუმანიშვილი ასეთი თავგამეტებით იღვწოდა.

ნუ დავუკარგავთ იმედა არაბულსაც – ისიც ბევრს ცდილობს, უდავოდ ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი თითქოს არაფერს იშურებს, მაგრამ მისი პირდაპირი და სწორხაზოვანი თამაში, ხასიათის „მხოლოდ ერთი ფერი“ ვერ ესადაგება გამოცდილი პარტნიორის მდიდარ არტისტულ პალიტრას.

მათი დაწყვილებაც, ალბათ, რეჟისორის შეცდომაა.

გემოვნების დეფიციტზე მიგვანიშნებენ ეგრეთ წოდებული მასობრივი სცენები.

მეგობრებთან სტენლის ურთიერთობა კლუბში დადგმულ სკეტჩს მოგვაგონებს, „ზემო სართულზე“ გათამაშებული ხმაურიანი ეპიზოდები კი - „კომედი შოუს“...

გემოვნების ნაკლებობა ატყვია პერსონაჟთა ჩაცმულობასაც.

სხვათა შორის, ეს მთავარი გმირის კოსტიუმებსაც ეხება – კაბებს, ნინელი ჭანკვეტაძე საკმაოდ ხშირად რომ იცვლის...

* * *

სპექტაკლი დადგმულია მოძველებული რეჟისორული ხერხებით, ნინელი ჭანკვეტაძე იყენებს ისეთ გამომსახველობით საშუალებებს, დაძველებას რომ არ ექვემდებარება.

* * *

წარმოდგენის ბოლოს, მაინც გაისმის ტაში, შეძახილი „ბრავოც“ კი.

ეს ტაში, ეს “ბრავო“, უპირველესად, ეკუთვნის მსახიობს, რომელიც მადლობას, თითქოს, წინასწარ გვიხდის უკანასკნელი ფრაზით: „მე ყოველთვის კეთილი ადამიანების იმედი მქონდა.“

ეს იმედი, რა თქმა უნდა, ბევრს ნიშნავს, ოღონდ არა თუმანიშვილის თეატრისთვის, რომელიც დღეს სრულიად უნუგეშოდ გამოიყურება.

ასეთი განცდა ცოტა უფრო ადრე „მეფე ლირმა“ დამიტოვა.

მაშინ გავჩუმდი – იმის იმედით, რომ სათქმელს თეატრმცოდნეები იტყოდნენ.

ესეც ამაო იმედი აღმოჩნდა.

არადა, რამდენი ვარსკვლავია ურეჟისოროდ მიტოვებული?!

თუმანიშვილის ვარსკვლავები თუმანიშვილის თეატრში!

და მათ მაგივრადაც მინდა, ავტირდე ვით მეფე ლირი...

იოსებ ჟუმბურიძე

მინაწერი: ნამდვილად არა ვარ თუმანიშვილის თეატრის ხელმძღვანელობის მტერი. თუმანიშვილის თეატრის ერთგული მაყურებელი და გულშემატკივარი კი ნამდვილად ვარ. გულწრფელად მტკივა და მაწუხებს ერთ დროს ბრწყინვალე დასის დღევანდელი მდგომარეობა. ვითარებას ვერც ნაციონალთა ფავორიტი დირექტორის (მსახიობის!) დადგმული „მეფე ლირი“ შველის და ვერც „ოცნების“ სკანდალური მხარდამჭერი სამხატვრო ხელმძღვანელის (რეჟისორის!) განხორციელებული „ტრამვაი „სურვილი“. რაღაც რადიკალურად უნდა შეიცვალოს. მაინცდამაინც მათს განთავისუფლებას სულაც არ ვგულისხმობ. იქნებ მოიძებნოს სხვა გამოსავალი. ვთქვათ, ასეთი: თუმანიშვილის თეატრში თითო სპექტაკლი მაინც დადგან თუმანიშვილის მოწაფეებმა – რობერტ სტურუამ, თემურ ჩხეიძემ, გიორგი მარგველაშვილმა, გიორგი სიხარულიძემ, დავით დოიაშვილმა... ეს იქნება მართლაც უნიკალური თეატრი- განსხვავებული ხელწერის რეჟისორთა სპექტაკლებით, რომელთაც აუცილებლად ექნებათ „საერთო მნიშვნელი“ – მიხეილ თუმანიშვილი.

სხვა რამეც მოვიფიქროთ...

ი. ჭ.

ხელშეწყობაც ამას ჰქვია!

ბოლო ორი წლის განმავლობაში მიკრო და მცირე მეწარმეებს საშუალება ჰქონდათ, საკუთარი წარმოება დაეწყოთ ან არსებული გაეფართოებინათ სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში. მეწარმეების ხელშეწყობის პროგრამა, თავის მხრივ, გულისხმობს რეგიონების განვითარებას 5-დან 15 ათას ლარამდე გრანტით მოსახლეობის დახმარების გზით.

იმერეთის რეგიონში, ბაღდათის მუნიციპალიტეტში, სოფელ ობჩაში ბახვა აბულაძის ღვინის მარანი ერთ-ერთია, რომელიც პროგრამის ფარგლებში მიღებული დაფინანსებით გაფართოვდა. საჭირო დანადგარების შეძენის შემდეგ მაღალი ხარისხის ღვინოს ასხამენ და როგორც ქვეყნის, ასევე საზღვარგარეთის ბაზარზე ცოლიკოურის ჯიშის ყურძნისგან წარმოებული „ბაიას ღვინო“ გააქვთ. მცირე მეწარმის, ბაია აბულაძის, თქმით, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში მიღებულმა თანადაფინანსებამ წარმოების გააუმჯობესებას და ღვინის რეალიზაციას შეუწყო ხელი:

სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში გამოყოფილი თანადაფინანსებით მცირე ზომის ტრაქტორი შეიძინა ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ორპირის მკვიდრმა ომარ გაბადაძემ, რომელსაც სამკურნალო მცენარე სტევია სათბურებში მოჰყავს. ომარ გაბადაძის თქმით, ტექნიკა შრომას უადვილებს და კარგი მოვლა კი მოსავლის ხარისხსა და რაოდენობაზე დადებითად აისახა. ომარ გაბადაძე იმასაც დასძენს, რომ სამკურნალო მცენარის მოვლასა და წარმოებაში მთელი ოჯახია ჩართული, სეზონურად კი დამატებით მუშახელს ქირაობენ, რაც სოფლად მცხოვრებთათვის დამატებითი შემოსავლის წყაროა.

პროექტის ფარგლებში დაფინანსება უკვე მიიღო და საჭირო დანადგარი შეიძინა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა მეგი ტაბატაძემ და, როგორც თავად ამბობს, პროექტი „აწარმოე საქართველოში“ ახლად დაწყებული ბიზნესის განვითარებისთვის კარგი ხელშეწყობაა. მეგი ტაბატაძის თქმით, იგი ხის, მეტალის, შუშისა და სხვა მასალისგან ხელნაკეთ სუვენირებს დაამზადებს და ნივთებს ელექტრონულად გაყიდის ან მაღაზიებს შესთავაზებს.

პროექტს „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობისთვის 2014 წლიდან ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტო. ბოლო მონაცემებით, პროგრამის ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით მხარდაჭერილია 3 205 პროექტი, თანადაფინანსებით გაცემულია 22 942 704 ლარი 5 ათასამდე ბენეფიციარზე და, საერთო ჯამში, 8 ათასი ადამიანია დასაქმებული.

აბაშიძე-კარასინის შეხვედრა მნიშვნელოვანი ძვრით დასრულდა

როგორც „კომერსანტისათვის“ გახდა ცნობილი ზურაბ აბაშიძისა და გრიგორი კარასინის ორი დღის წინანდელი შეხვედრა პრაღაში მნიშვნელოვანი ძვრით დასრულდა. მოლაპარაკების მონაწილეებმა გადაწყვიტეს „ახალი სიცოცხლე შთაბერონ“ შეთანხმებებს სავაჭრო დერეფნების შესახებ. 2011 წელს ხელმოწერილი დოკუმენტი მხარეებს საშუალებას აძლევს ივაჭრონ და სატრანსპორტო კომუნიკაციები განავითარონ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების გავლით და იმავდრულად არ შეეხონ საქართველოს ყოფილი ავტონომიების სტატუსის პრობლემას. როგორც გრიგორი კარასინმა განუცხადა „კომერსანტს“, საქმე გვაქვს „სერიოზულ პროგრესთან პრაქტიკულ სფეროში“.

„ჩვენ, გრიგორი კარასინთან ერთად, გადავწყვიტეთ, რომ მცირე ნაბიჯების მეთოდით ვისარგებლოთ“, — განუმარტა „კომერსანტს“ ზურაბ აბაშიძემ მოლაპარაკების შემდეგ. მისი თქმით, მხარეებმა გადაწყვიტეს განიხილონ ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტა პრაქტიკულად შესაძლებელია, „წითელი ხაზების“ გადაკვეთის გარეშე. მოსკოვისა და თბილისისათვის „წითელი ხაზები“ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსს და მათ ტერიტორიაზე რუსული ჯარის ყოფნას ნიშნავს.

დატოვეს რა კონსულტაციების ჩარჩოებს მიღმა პოლიტიკური უთანხმოება, მოლაპარაკების მონაწილეებმა სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევა შეძლეს: **„ჩვენ გადავწყვიტეთ 2011 წლის შეთანხმების ამოქმედება, რომლებიც ჩვენს ქვეყნებს სავაჭრო-ეკონომიკურ და სატრანსპორტო ურთიერთობის განვითარების საშუალებას მისცემს“,** — აღნიშნა საქართველოს პრემიერის სპეცწარმომადგენელმა „კომერსანტთან“ საუბარში.

საქმე ეხება 2011 წლის 9 ნოემბერს ხელმოწერილ **„შეთანხმებას რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს მთავრობებს შორის საბაჟო ადმინისტრირების მექანიზმებისა და ვაჭრობის მონიტორინგის ძირითადი პრინციპების შესახებ“,** რომელიც გაფორმდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) რუსეთის გაწევრიანების მიზნით მიმდინარე რთული მოლაპარაკების ფონზე: აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამასთან შეხვედრის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რუსეთს მსო-ში გაწევრიანების ვეტო მოუხსნა, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე რუსეთიდან საქართველოსკენ სავაჭრო დერეფნები გაიხსნება, მხარეები კი საერთაშორისო შუამავლებს მოიწვევენ, ტვირთების ნაკადის გაკონტროლებისა და მარკირების მიზნით. ასეთი სისტემა მხარეებს საშუალებას მისცემს, თავიდან აიცილონ ის უხერხული სიტუაცია, რომელიც საზღვარზე ტვირთების საბაჟო გაფორმებას თან ახლავს, იმავდროულად შესაძლებელი იქნება სამხრეთ ოსეთზე გამავალი ავტომაგისტრალით სარგებლობა, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სომხეთისათვის. როგორც ცნობილია, სომხეთ-რუსეთის დამაკავშირებელი საქართველოს სამხედრო გზა ხშირად იკეტება ხოლმე ცუდი კლიმატური პირობების გამო.

2011 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის მოლაპარაკების შუამავალი შვეიცარიის ხელისუფლება იყო. ბერნი გამოვიდა წინადადებით, რომ საქართველოს საზღვრის აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის მონაკვეთებზე, ტვირთების გადატანის კონტროლის მიზნით, ელექტრონული სისტემა შექმნილიყო. ეს ვარიანტი შესაძლებლობას იძლეოდა, რომ მოსკოვს გვერდი აევლო ამ სატვირთო ოპერაციების ქართულ-რუსულ ვაჭრობად აღიარებისათვის, ანუ საქართველოს ნაწილებად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ფორმალური აღიარების გარეშე. საბოლოო ჯამში ისე მოხდა, რომ შეთანხმების პირობები, პრაქტიკულად, არ განხორციელდა. ახლა კი მხარეებმა გადაწყვიტეს, 2011 წლის შეთანხმებებს დაბრუნებოდნენ.

როგორც გრიგორი კარასინმა განმარტა „კომერსანტთან“ საუბარში, ამჟამად საკითხი სამი დერეფნის ამოქმედებას ეხება: ერთი იწყება სოჭთან ახლოს, გაივლის აფხაზეთს და მთავრდება ზუგდიდში. მეორე დერეფანი იწყება ჩრდილო ოსეთის სოფელ ნართან ახლოს, გაივლის სამხრეთ ოსეთს და მთავრდება გორში, მესამე დერეფანი კი „ყაზბეგი — ზემო ლარსის“ საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან იწყება. საბაჟო პუნქტების ოპერატორის როლი, მოსკოვ-თბილისის შეთანხმებით, შვეიცარიის კომპანია SGS-ს დაეკისრება.

რუსი დიპლომატის თქმით, შვეიცარიის ხელისუფლების წარმომადგენლები მარტის ბოლოს მოსკოვსა და თბილისს ეწვევიან, მოუგვარებელ საკითხებზე მოსალაპარაკებლად. **„ჩვენ ამისთვის მზად ვართ,** — განაცხადა გრიგორი კარასინმა პრაღაში „კომერსანტთან“ საუბრისას, — **ეს პრაქტიკულ სფეროში მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესია. ახლა ძალისხმევას მოვახმართ, რომ ეს ყველაფერი ამოქმედდეს“.**

გრიგორი კარასინმა ხაზი გაუსვა, რომ 2011 წლის შეთანხმების რეალიზებაში არა მარტო საქართველო და რუსეთია დაინტერესებული, არამედ სომხეთიც.

„კომერსანტი“ (რუსეთი)

ცხინვალისა და დრანდის ციხეების ქართველი ტყვეები

რუსულ-ოსურმა **საოკუპაციო რეჟიმმა ცხინვალის რეგიონში საქართველოს მოქალაქე გიორგი გიუნაშვილს 20-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. იგი რუსმა ოკუპანტებმა 2016 წლის 8 ივნისს გაიტაცეს.**

39 წლის გიორგი გიუნაშვილი ოკუპირებულ სოფელ დისევის მკვიდრია. გორის რაიონის ეს სოფელი, რომელიც ცხინვალიდან 15 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს, 2008 წლის აგვისტოში ოკუპანტებმა მთლიანად გადაწვეს. 300 გადამწვარი სახლიდან ერთ-ერთი გიუნაშვილების იყო. მას შემდეგ, გიორგი გიუნაშვილი ცხინვალელ მეუღლესთან და ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად, სოფელ ბერბუკის დევნილთა დასახლებაში ცხოვრობდა. შარშან, ივნისში გიორგიმ ნასახლარის მონახულება გადაწყვიტა, რომელიც ზედ საოკუპაციო ხაზზე მდებარეობს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) ინფორმაციით გიორგი გიუნაშვილი ოკუპანტებმა საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან გაიტაცეს. თავდაპირველი ბრალდება ე.წ „საზღვრის უკანონო გადაკვეთა“ იყო, თუმცა, მალევე, „ტერორიზმის მუხლით“ შეიცვალა. **საოკუპაციო რეჟიმი გიორგი გიუნაშვილს ბრალს სდებს, რომ თითქოს იგი, „2004 წლიდან იყო სოფელ დისევის „თავდაცვის ჯგუფის“ წევრი. 2007 წელს, მეზობელ სოფელ ხელჩუაში ხელყუმბარა ააფეთქა და 2008 წლის აგვისტოში ოსები დაცხრილა, რასაც ერთის სიცოცხლე შეეწირა“.**

20-წლიანი პატიმრობის განაჩენი გიორგი გიუნაშვილს, რომელიც რუსულად საერთოდ ვერ საუბრობს, ცხინვალში, სამ თებერვალს გამოუტანეს. დისევიდან დევნილი ტარიელ ოქროპირიძე ამბობს, რომ ასეთი აბსურდული ბრალდება ნებისმიერ დისეველს შეიძლება წაუყენონ: **„არაფერი დაუშავებია. გორის რაიონს ჰყოფს მაგის სახლი დაახლოებით რვა მეტრით. სახლში მივიდა და იქ დაააკავეს. არავითარი ტერორისტი ის არ არის. არსად უმუშავია, რასაც აბრალებენ. ყველა ბრალდება აკიდებული აქვს, ნებისმიერი ჩვენგანი რომ დაიჭირონ, ზუსტად ეგრე უზამენ“.**

20-წლიან სასჯელს იხდის ოკუპირებულ აფხაზეთში საქართველოს მოქალაქე გიორგი ლუკავაც. იგი ოკუპანტებმა გალის რაიონის სოფელ ქვემო ბარღების სასაფლაოზე 2011 წლის 8 მაისს დაიჭირეს. გიორგი ლუკავა სამი გარდაცვლილი შვილის საფლავს წმენდდა.



გიორგი გიუნაშვილს ცხინვალში 20-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს

52 წლის გიორგი ლუკავა აფხაზეთის ომის მონაწილეა. სოხუმის დაცემის შემდეგ, მრავალშვილიანი ოჯახი, რვა შვილი და მეუღლე ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათში გადმოიყვანა და სამხედრო პოლიციაში დაიწყო სამსახური. აფხაზები მას ქართული პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთ მეთაურად მიიჩნევენ და 1994 წელს, სოფელ თაგილონიდან 14 აფხაზი სამხედროს გატაცებაში ადანაშაულებენ, რომლებიც მოგვიანებით, ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე დაიღუპნენ. სწორედ ამ ბრალდებით გაასამართლეს გიორგი ლუკავა 1996 წელს, როცა პირველად ჩავარდა ტყვედ. იგი სასტიკად აწამეს, 12 წელი მიუსაჯეს, თუმცა, დრანდის ციხეში მხოლოდ სამი წელი გაატარა და 1999 წელს, ტყვეთა გაცვლის შემდეგ გათავისუფლდა.



გიორგი ლუკავა დრანდის ციხეში მეექვსე წელია ზის

გიორგი ლუკავას მეორე ტყვეობის პერიოდში, 1994 წელს თაგილონში გატაცების გარდა იმავე პერიოდში გუდაუთაში მომხდარი მკვლელობებიც „მიაწერეს“. ჯერ 25 წელი მიუსაჯეს, შემდეგ 20 წლამდე შეუმცირეს. არაოფიციალური ინფორმაციით კი 2015 წლის დეკემბერში, მას დრანდის ციხის ბუნტში მონაწილეობის გამო, უკვე უვადო პატიმრობა აქვს შეფარდებული.

2016 წლის მარტში ქართულ-აფხაზურ-ოსურ მხარეებს შორის, პატიმართა დიდი გაცვლის დროს, გიორგი ლუკავა ბოლო მომენტში უკან საკანში მიაბრუნეს. მეუღლე ლალი ბასარია ამბობს, რომ ქმრის გათავისუფლება 2017 წლის იანვრის ბოლოსაც ჩაიშალა და იგი სასტიკად არის ნაწამები: **„წამების ნიშნები ორივე ფეხზე აქვს. ერთი ღამე ერთი ფეხით ჰყავდათ ჩამოკიდებული, მეორე ღამე — მეორე ფეხით. ე.წ „შტირითაც“ არის ნაწამები, გაცხელებულ რკინას რომ ადებდნენ, ეს ყველაფერი ეტყობა ტანზე“.**

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) განცხადებით, ცხინვალში, გიორგი გიუნაშვილისადმი წაყენებული „ბრალდებები“ არის გამოგონილი, ყოველგვარ ლეგიტიმურ საფუძველს მოკლებული და უწყება „ყველაფერს გააკეთებს გიორგი გიუნაშვილის უკანონო პატიმრობიდან დასახსნელად“, პარალელურად, სუს-ი აგრძელებს მუშაობას დრანდის ციხიდან გიორგი ლუკავას გათავისუფლების მიზნით.

„Radio Voice of America“ (აშშ)

აფხაზეთი: იორდანიული ვექტორი

ოკუპირებული აფხაზეთიდან იორდანიის დედაქალაქ ამანამდე უფრო ახლოა, ვიდე რუსეთის დედაქალაქ მოსკოვამდე, თუმცა იქ ჩაღწევა ძალზე რთულია: ჯერ შავი ზღვაა გადასალახი, მერე თურქეთის ტერიტორია, შემდეგ — ომში გახვეული სირიის. მიუხედავად ამისა, ბოლო წლებში ოკუპირებული აფხაზეთისა და იორდანიის საქმიან წრეებს შორის აქტიურად

ყალიბდება კავშირები. საქმე იმაშია, რომ საკმაოდ მცირე რაოდენობის მოსახლეობის მქონე, თუმცა კეთილდღეობის ოაზისად ცნობილ ამ არაბულ სახელმწიფოში, ისევე,როგორც თურქეთსა და სირიაში, XIX საუკუნის აფხაზი მოჰაჯირების შთამომავლები ცხოვრობენ და სწორედ ისინი იქცნენ ისტორიულ სამშობლოსთან დამაკავშირებელ რგოლად.

ორი წლის წინათ იორდანიასა და ეგვიპტეს დელეგაცია ეწვია აფხაზეთის იმჟამინდელ დე ფაქტო პრემიერ ბესლან ბუთბას ხელმძღვანელობით. მის შემადგენლობაში საერთაშორისო ფონდ „აფსნის“ ხელმძღვანელი, თურქეთიდან რეპატრიანტი სონერ გოგუაც შედიოდა,. და წელს ჰაშიმიტურ სამეფოში ჩასულ აფხაზურ დელეგაციას სწორედ ის ედგა სათავეში. მასთან ერთად იმყოფებოდნენ დე ფაქტო სახელმწიფო საინვესტიციო სააგენტოს დირექტორი ალმას ტანია, ოკუპირებული აფხაზეთის საზოგადოებრივი პალატის წევრი, თურქეთიდან რეპატრიანტი ბიზნესმენი ნიზამ ხაფათი, ფონდ „აფსნის“ წარმომადგენელი თურქეთში ჩენგიზ აშუბა, ასევე მეწარმეები ვიტალი სმირი და დიმიტრი არგუნი.

სოხუმში დაბრუნების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე დელეგაციის წევრები ძირითადად აფხაზურ ენაზე საუბრობდნენ.

როგორც სონერ გოგუამ აღნიშნა, იორდანიასთან ურთიერთობების განვითარება ძალზე მნიშვნელოვანია აფხაზეთისათვის, ვინაიდან იქ აფხაზურ-ადიღური დიასპორის 100 000-ზე მეტი წარმომადგენელი ცხოვრობს, მათ შორის — 5 000-მდე აფხაზი. მისივე თქმით, წინა ვიზიტის მსგავსად, ამჯერადაც ჩერქეზული ფესვების მქონე პრინცმა ალი ბინ ალ-ჰუსეინმა აფხაზურ დელეგაციას თბილი დახვედრა მოუწყო.

„ვიზიტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს ჩვენს რესპუბლიკაში ინვესტიციების მოზიდვა წარმოადგენდა, — განაცხადა ალმას ტანიამ. — შევეცადეთ, მიგვეტანა ჩვენს თანამოსაუბრეებამდე, რომ რუსეთთან დაუბეგრავი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები გვაქვს გაფორმებული. ეს ის საკვანძო ფაქტორია, რომელმაც შეიძლება, ნებისმიერი ინვესტორი დაინტერესოს“.

სონერ გოგუას თქმით, აფხაზური დელეგაციის იორდანიაში პირველი ჩასვლის შემდეგ რამდენიმე საპასუხო ვიზიტი განხორციელდა.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, მისი ინფორმაციით, უკვე დაგეგმილია რამდენიმე ერთობლივი პროექტის განხორციელება:

„უპირველესად, უახლოესი ორი თვის განმავლობაში კომპანია „ნარტ ტივის“ წარმომადგენლების ვიზიტს ველით, რომელიც პროექტის ერთობლივ რეალიზებას ისახავს მიზნად. საუბარია თანამგზავრულ მაუწყებლობაზე არა მარტო იორდანიის, არამედ თურქეთისა და კავკასიის მცხოვრებთათვის. ბევრი ტექნიკური საკითხია გადასაჭრელი. გვსურს, სტუმრები აფხაზ სპეციალისტებს, ჩვენი სახელმწიფო ტელერადიოკომპანიის წარმომადგენლებს შევახვედროთ, რათა პროექტი ერთობლივად განხორციელდეს. მეორე: მიღწეულია შეთანხმება, რომ ივლისში გვეწვევა დელეგაცია, რომელიც აფხაზეთის ეკონომიკურ პოტენციალს შეისწავლის. ჯერ რუსეთის კრასნოდარის მხარეში ჩავლენ, შემდეგ — ჩვენთან. ამ კონტექსტში მინდა, მადლობა გადავუხადო ეკონომიკის მინისტრ ადგურ არძინბას ყოველმხრივი დახმარებისათვის. გარდა ამისა, მოვიწვიეთ ჩერქეზული სკოლის წარმომადგენლები. გვსურს, მათთან ერთად ზაფხულში აფხაზეთში ერთობლივი ბანაკი გავხსნათ“.

„აქცენტი“

საწვავის მუდმივი გაძვირება ეჭვს აჩენს

ახალი წლიდან მოყოლებული საწვავი ყოველ კვირა ძვირდება. თითქოს ბენზინისა და დიზელის ღირებულება მივიდა იმ ნიშნულამდე, როცა ფასის ზრდა უნდა შეჩერდეს, მაგრამ ახალი სტაბილური წერტილი ვერაფრით მოიძებნა. ამიტომ სპეციალისტების ერთ ნაწილს გაუჩნდა აზრი, რომ ნავთობკომპანიები აქციზის გაზრდით მანიპულირებენ.

ორშაბათიდან მოყოლებული ზოგიერთ ბრენდირებულ ავტოგასამართ სადგურზე საწვავი კიდევ გაძვირდა. ამჯერად ფასი დაახლოებით 5-7 თეთრით არის გაზრდილი. „სოკარის“ ბენზინგასამართ სადგურებზე „სუპერის“ მარკის ბენზინის ღირებულება 2.44 ლარიდან 2.49 ლარამდე გაიზარდა, „რეგულარის“ ფასმა 5 თებერვლის შემდეგ 7 თეთრით მოიმატა და 2.16 ლარი გახდა, ხოლო „პრემიუმის“ მარკის ბენზინი 2.29 ლარიდან 2.36 ლარამდე გაძვირდა; ასევე 7 თეთრით გაძვირდა „ევრო რეგულარი“, რომლის ფასმა 2.21 ლარს მიაღწია.

რაც შეეხება დიზელს, „ევრო დიზელი“ 2.27 ლარი ღირს, როცა 5 თებერვლის მდგომარეობით, მისი ფასი 2.20 ლარი იყო. „დიზელის“ ფასი კი 2.02 ლარიდან 2.09 ლარამდე გაიზარდა.

28 იანვრის შემდეგ ბენზინის ფასმა 5-7 თეთრით მოიმატა „ვისოლის“ ბენზინგასამართ სადგურებზეც, დიზელის ფასი კი უცვლელია. კერძოდ, „ეკო სუპერის“ მარკის ბენზინი 2.44 ლარიდან 2.49 ლარამდე გაძვირდა. „ეკო პრემიუმის“ ფასმა კი 2.29 ლარიდან 2.36 ლარამდე მოიმატა; 7 თეთრით — 2.16 ლარამდე გაძვირდა „ევრო რეგულარი“.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარის ვანო მთვრალაშვილის თქმით, ზოგიერთ ბრენდირებულ ავტოგასამართ სადგურზე საწვავის გაძვირება 2017 წლის 1 იანვრიდან ნავთობპროდუქტებზე აქციზის გადასახადის ზრდას უკავშირდება. ის, თუ რომელი ოპერატორი კომპანია როდის ან რა დოზით მოუმატებს ფასს, უშუალოდ კომპანიების გადასაწყვეტია.

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის 15 ოქტომბრის შემდეგ კი საწვავი დაახლოებით 40-დან 60 თეთრამდე გაძვირდა.

მიუხედავად ფასის ზრდისა, საწვავის იმპორტი მუდმივად მატულობს. მაგალითად, შარშან საქართველოში ბენზინისა და დიზელის იმპორტი 19 პროცენტით გაიზარდა. გასულ წელს სულ ქვეყანაში მილიონ 230 ათასი ტონა თხევადი საწვავის იმპორტი განხორციელდა. აქედან 30%-ით გაიზარდა ბენზინის იმპორტი მაშინ, როცა დიზელის საწვავის იმპორტი ერთ წელში მხოლოდ 10%-ით არის მომატებული. ქვეყნების მიხედვით, იმპორტის მესამედი რუმინეთზე მოდის, შემდეგ არის აზერბაიჯანი, რუსეთი, ბულგარეთი და თურქმენეთი.

აღსანიშანვია, რომ აქციზის ზრდამდე კომპანიებმა მარაგები გაზარდეს, რაზეც დეკემბრის სტატისტიკაც მეტყველებს. წლის ბოლო თვეს 80%-ით გაიზარდა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტი, რამაც 89,3 მლნ დოლარი შეადგინა.

საწვავის მუდმივ რეჟიმში გაძვირებამ ეჭვები გაუჩინა ეკონომისტებს. ისინი ვარაუდობენ, რომ იმპორტიორები აქციზის გაზრდით მანიპულირებენ და ცდილობენ, ზედმეტი მოგება მიითვალონ.

ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის ანალიტიკოსი **პაატა ბაირახტარის** აზრით, ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორების გაანალიზებისას ნათლად ჩანს, რომ კომპანიებმა იმაზე გაცილებით მეტად გაზარდეს საწვავის ფასი, ვიდრე ამას აქციზის გადასახადი და სხვა ფუნდამენტური ფაქტორები განაპირობებდა.

„დღეს ნავთობკომპანიები უსამართლოდ გაბერილი ტარიფებით ოპერირებენ, რასაც სახელმწიფო ვერაფერს უპირისპირებს და ზიანდება ისედაც რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩავარდნილი მომხმარებელი. მსგავს სიტუაციაში მნიშვნელოვანია, რომ ნავთობკომპანიებმა იგრძნონ ის სოციალური პასუხისმგებლობა, რაც მათ საზოგადოების წინაშე გააჩნიათ და არ ისარგებლონ ბოროტად ყველა სიტუაციაში“, - აცხადებს ბაირახტარი.

ბექა დანელია

სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად:

• სამეცნიერო პროექტებისა და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის ცენტრის მენეჯერი

მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი - ერთი საშტატო ერთეული;

• მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი „თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის ლაბორატორიაში“— ერთი საშტატო ერთეული;

• მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი „ლითონური მასალების წნევით დამუშავების ლაბორატორიაში“- ერთი საშტატო ერთეული;

• მეცნიერ-თანამშრომელი „ლითონმცოდნეობისა და ლითონების კოროზიისგან დაცვის ლაბორატორიაში“ — ერთი საშტატო ერთეული;

• მეცნიერ-თანამშრომელი „სადნობ-საჩამომსხმელო უბანში“, ერთი საშტატო ერთეული;

• მეცნიერ-თანამშრომელი „არაორგანული მასალების ქიმიური და ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის ლაბორატორიაში“ — ორი საშტატო ერთეული;

• მეცნიერ-თანამშრომელი „თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის ლაბორატორიაში“ — ერთი არასრული საშტატო ერთეული

• ინჟინერი „ლითონმცოდნეობისა და ლითონების კოროზიისგან დაცვის ლაბორატორიაში“ - ერთი საშტატო ერთეული.

დამატებითი ინფორმაცია:

1. სამუშაო აღწერები და თანამდებობრივი სარგო იხილეთ ინსტიტუტის ვებ-გვერდზე (www.mmi.ge)

2. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ან გადმოაგზავნონ PDF ფორმატში ელ.ფოსტაზე info@mmi.ge;

• განცხადება (განცხადების ფორმა იხილეთ www.mmi.ge)

• პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

• ავტობიოგრაფია /CV

• განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი

საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ-ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში, მისამართზე — ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. №10, ოთახი №7 ან ელექტრონულად ელ.ფოსტაზე info@mmi.ge 2017 წლის 9 მარტიდან 13 მატრის ჩათვლით. კონკურსის ჩატარების ზუსტ თარიღს გაცნობებთ ელ.ფოსტის ან ტელეფონის საშუალებით.

დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ www.mmi.ge, ან დარეკეთ ტელეფონზე 2380716; 577392776;

ფსიქოლოგების, ლოგოპედებისა და სპეც-პედაგოგების შერჩევის კონკურსი

ა(ა)იპ თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო აგრძელებს პროფესიონალი კადრების შერჩევას ფსიქოლოგის, ლოგოპედისა და სპეც-პედაგოგის პოზიციის დასაკავებლად.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა 2017 წლის 28 თებერვლამდე ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს საკადრო სამსახურს უნდა წარუდგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

რეზიუმე (CV); პირადობის მოწმობის ასლი; უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი; სერთიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

საკვალიფიკაციო მოთხოვნები სპეციალური პედაგოგის პოზიციისათვის:

უმაღლესი განათლება სპეციალური პედაგოგიკის სფეროში;

სპეც-პედაგოგად მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი სამუშაო გამოცდილება:

ბავშვებისათვის განვითარების ინდივიდუალური გეგმის შემუშავებისა და განხორციელების გამოცდილება; ბავშვთა უფლებების კონვენციის ცოდნა; კარგი კომუნიკაციის უნარი, როგორც ბავშვებთან, ასევე მშობლებთან ურთიერთობისათვის; სასურველია რუსული ან ინგლისური ენების ცოდნა.

გასაუბრება დაგეგმილია 6 და 7 მარტს. გასაუბრების ზუსტი დროის შესახებ აპლიკანტებს ეცნობებათ სმს-შეტყობინების სახით.

◎ რაგბი

ამერიკა უმწვრთნელოდ დაგვხვდება?



„არწივების“ მთავარმა მწვრთნელმა ჯონ მიტჩელმა აშშ-ის რაგბის კავშირთან კონტრაქტი შესაძლოა გაწყვიტოს.

ამის მიზეზი პრო დ2-ის ლიდერი „ოიონაა“, რომელმაც ახალზელანდიელ სპეციალისტს წინადადებით მიმართა და მხარეები შეთანხმების გაფორმებასთან ძალიან ახლოს არიან.

მიტჩელმა აშშ-ის ნაკრები შარშან ჩაიბარა და ადგილობრივ რაგბის კავშირთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ივნისში „არწივები“ „ბორჯღალოსნებს“ დაუხვდებიან და, შესაძლოა, იმ დროისთვის მიტჩელი გუნდის მთავარი მწვრთნელი აღარც იყოს. რაც შეეხება „ოიონას“, მის შემადგენლობაში ქართველი ბურჯები — ირაკლი მირცხულავა და გიორგი ვეფხვაძე თამაშობენ.

კობა კობახიძე

◎ საფეხბურთო მოზაიკა

„ბარსელონას“ ოფიციალური ფანკლუბი თბილისში

საქართველოს დედაქალაქში „ბარსელონას“ მხარდამჭერთა კლუბი იხსნება. ეს ინფორმაცია კატალონიური გრანდის საიტმა გუშინ დაადასტურა.

„ბარსელონას“ განცხადების თანახმად, 2017 წლის 6 თებერვალს კლუბის დირექტორთა საბჭომ ოფიციალურის სტატუსი 15 ახალ მხარდამჭერთა კლუბს მიანიჭა. მათ შორისაა Penya Blaugrana Tbilisi, რომლის ადგილმდებარეობადაც საქართველო, თბილისია მითითებული.

თბილისში „ბარსელონას“ მხარდამჭერთა კლუბის შესახებ მეტი ინფორმაცია, ჯერჯერობით, არ ვრცელდება.

რივალდოს შვილი „დინამოში“ ითამაშებს

ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელის რივალდოს შვილი რივალდინიო კარიერას ევროპაში გააგრძელებს. 21 წლის შემტევი ამიერიდან რუმინეთში, კერძოდ, ბუქარესტის „დინამოში“ ითამაშებს. ამის შესახებ რუმინული გუნდის ვებ-გვერდი ოფიციალურად იუწყება.

რივალდინიოსთვის ევროპა უცხო არაა — თავის დროზე იგი პორტუგალიურ „ბოავიშტასა“ და იტალიურ „ლატინაში“ ირიცხებოდა. ისე კი, მამამისივით ნიჭიერი ვერ გამოდგა, თუმცა, ვინ იცის, ჯერ მხოლოდ 21 წლის გახლავთ...

იკარდი და პერიშიჩი დასაჯეს

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა მილანის „ინტერის“ ორი წამყვანი ფეხბურთელი მაურო იკარდი და ივან პერიშიჩი ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. აღნიშნულის მიზეზი „იუვენტუსთან“ მატჩში მიღებული წითელი ბარათები და მსაჯის, ნიკოლა რიცოლის მიმართ გამოთქმული პრეტენზიებია.

ხსენებულ შეხვედრაში ხორვატმა შემტევმა მოედანი ბოლო წუთზე დატოვა, ხოლო იკარდიმ წითელი ბარათი მატჩის დასრულების შემდეგ მსაჯთან კამათის გამო მიიღო. ორივე მოთამაშე საკუთარ გუნდს „ემპოლისთან“ და „ბოლონიასთან“ შეხვედრებში დააკლდება.

თავის მხრივ, როგორც „ინტერნაციონალეს“ ვებ-გვერდი გვამცნობს, კლუბი სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებას გასაჩივრებს.

გიორგი ზოთაძე

◎ კიდევაც დაიზრდებიან!..

ანდრია ბითაძე:

წყალბურთი ჩემი სპორტია

საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა ნაკრების 19 წლის ცენტრალური თავდამსხმელი ანდრია ბითაძე (სიმაღლე 202 სმ, წონა 112 კილო), ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, გამოცდილი სპორტსმენია. მან უკვე მოასწრო უფროსთა ევროპის ჩემპიონატზე ორჯერ თამაში. 15 წლისა სერბეთის „ვოივოდინას“ წევრი იყო, მერე ჩერნოგორიის „იადრანსა“ და ესპანეთის „ბარსელონაში“ გამოდიოდა. შარშან 19-წლამდელთა ევროპის პირველობის შემდეგ, სადაც საქართველოს ნაკრებმა მე-10 ადგილი დაიკავა, ანდრია ბითაძემ უცხოური კლუბებიდან რამდენიმე შემოთავაზება მიიღო, მათ შორის — რუმინეთიდან და რომის „ლაციოსგან“. ქართველმა წყალბურთელმა მარადიული ქალაქი აირჩია, ოღონდ იქაური „ვის ნოვა“ და ამ კლუბთან ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. მას შემდეგ ექვსი თვეც არ არის გასული და ქართველი წყალბურთელი გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა. იტალიურმა პრესამ მას არაერთხელ შეასხა ხოტბა.



— ანდრო, რატომ აირჩიე რომის „ვის ნოვა“? — ვკითხე ამას წინათ თბილისში ჩამოსულ ბითაძეს.

— იტალიაში თამაში ყოველთვის იყო ჩემი ყველაზე დიდი ოცნება. წყალბურთში იტალიის ლიგა საუკეთესოა მსოფლიოში, ამიტომ „ვის ნოვადან“ წინადადება რომ მივიღე, წუთითაც არ მიფიქრია. ვიცი, რომ ეს ახალი გუნდია, რომელშიც ბლომად არიან ახალგაზრდა წყალბურთელები, ასევე გამოცდილი მოთამაშეები, წყალბურთის ნამდვილი ექსპერტები. მათგან ბევრს ვსწავლობ. საქართველოში ჩემი მწვრთნელის — იოან პოპოვიჩის თქმით, „ვის ნოვა“ და იტალიის ჩემპიონატი ჩემთვის იდეალური ადგილია და მე მას სავსებით ვეთანხმები.

— წყალბურთში როგორ მოხვდი? სპორტის ეს სახეობა ხომ საქართველოში არც ისე პოპულარულია.

— ხუთი წლისამ ცურვაზე დავიწყე სიარული, ხოლო სამი წლის შემდეგ წყალბურთზე გადავინაცვლე. ეს არ ყოფილა შემთხვევითი: მამაჩემი - ალექსანდრე ბითაძე წყალბურთელი იყო, რომელიც თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრებში თამაშობდა. ბავშვობისას კალათბურთითაც ვიყავი გატაცებული. აქაც გენები მეხმარებოდა — ბაბუა, დედაჩემის მამა, ილარიონ ხაზარაძე დიდი კალათბურთელი გახლდათ — საკავშირო ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა იმ გუნდის წევრი, რომელმაც 1962 წელს ჟენევაში ფინალურ მატჩში მადრიდის „რეალი“ დაამარცხა და ევროპის ჩემპიონთა

— 15 წლისამ, ასე ვთქვათ, ტურნე დაიწყე ევროპაში...

— დიახ, 2012 წელს სერბულ ნოვი სადში გადავედი და „ვოივოდინას“ მეორე გუნდში ვთამაშობდი. მერე ვლადიმირ გოიკოვიჩმა ჩერნოგორიული ჰერცეგ ნოვის „იადრანში“ გადამიყვანა, სადაც ორი წელი დავყავი. ეს ჩემთვის უდიდესი გამოცდილება იყო. მერე საშუალება მომეცა, დიდი მწვრთნელისა და უფროსი მეგობრის — ტონი ესტელერის ხელმძღვანელობით „ბარსელონაში“ მეთამაშა. ახლა, როგორც ხედავთ, რომში ვარ.

— ასე პატარას სახლთან განშორება არ გაგიჭირდა?

— დატოვო სამშობლო, მეგობრები და ოჯახი, ნებისმიერ ასაკში იოლი არ არის, მაგრამ მე წყალბურთელობა და საკუთარი თამაშის გაუმჯობესება მინდოდა, ჩვენთან კი ჯერჯერობით ამის საშუალება არ არის. არადა, იყო პერიოდი, როცა საქართველოს უდიდესი წყალბურთელები ჰყავდა. ჩემს ქვეყანას სპორტის ამ სახეობაში უმდიდრესი ტრადიციები აქვს.

— წლების განმავლობაში სხვადასხვა ლიგაში თამაშობდი. უკვე იტალიური წყალბურთიც დააჭაშნიკე. ყველაზე მეტად როგორი თამაში უფრო მოგწონს?

— ესპანეთში წყალბურთს უფრო სწრაფად თამაშობენ, ვიდრე სერბეთსა და ჩერნოგორიაში, სადაც ძალისმიერი წყალბურთია მოდაში. აქამდე რაც ვნახე, ჯერჯერობით იტალიური მირჩევნია: აქ ტემპი მაღალია, მაგრამ თავდასხმაში იმპროვიზაციისთვის მეტი საშუალებაა. ეს დიდი სიამოვნებაა. აქ გრანდები გამოდიან. მაგალითად, „ბრეშამ“ 2015 წელს ევროპის ლიგა მოიგო. „ვის ნოვა“ ახალგაზრდული გუნდია, მაგრამ მეგობრული და აზარტული. ასე რომ, სპეციალისტების ყურადღება უკვე დავიმსახურეთ. სამომავლოდ, დარწმუნებული ვარ, ძლიერი გუნდი გვეყოლება.

— ქართულ წყალბურთზე რას იტყვი?

— ბოლო წლებში ის აღმავლობის გზაზეა. საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაცია ბევრს ზრუნავს მის განვითარებაზე. ნიჭიერი თაობა მოდის და დარწმუნებული ვარ, ქართული წყალბურთი უწინდელ დიდებას მალე დაიბრუნებს.

ვაჟა დანელია

ხობში მრავალფუნქციური სპორტკომპლექსი შენდება

ყოფილი კინოთეატრის „თუთარჩელა“-ს შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციას საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით ახორციელებს. სამუშაოების ადგილზე გასაცნობად ხობში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტუქტურის მინისტრი ზურაბ ალავიძე და ხობის გამგებელი გოჩა ქაჯაია იმყოფებოდნენ.

სპორტული კომპლექსში გათვალისწინებულია საჭიდაო მოედნის, ჭადრაკის დარბაზის, საბილიარდეს, ფიტნესდარბაზისა და საუნის მოწყობა.

ქალაქ ხობში სპორტით დაინტერესებულ ადამიანებს საშუალება ექნებათ კეთილმოწყობილ გარემოში ივარჯიშონ და სპორტის მრავალ სახეობაში გამართონ ტურნირები.

პროექტით გათვალისწინებულია დარბაზში ლითონის ფერმების მოწყობა და გადახურვა. თუნუქით გადაიხურება ასევე დანარჩენი შენობა. ფასადზე მოეწყობა ალუმინის ვიტრაჟები.

მოწესრიგდება ელექტროობა და გათბობა-ვენტილაციის სისტემები. პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს შიდა და გარე კანალიზაციისა და ბიოლოგიური გამწმენდის მოწყობის სამუშაოები.

მშენებლობაზე, რომლის ღირებულება 2 500 000 ლარზე მეტია, 30 ადამიანია დასაქმებული. სამუშაოების დასრულება 2018 წლის გაზაფხულზე იგეგმება.

შირაქში მგლებმა 150 ცხვარი დაგლიჯეს

დედოფლისწყაროს რაიონში, შირაქის ველზე მგლის ხროვამ ბექა გონაშვილის კუთვნილი 150 სული ცხვარი დაგლიჯა. როგორც ფერმერმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, მტაცებლები ცხვრის ფარას თავს თითქმის ყოველდღიურად ესხმიან.

გონაშვილის თქმით, მწყემსებს იარაღის ტარება და მგლის მოკვლა მაღალი ჯარიმის გამო არ შეუძლიათ.

„მგლების ხროვა ცხვრის ფარას საღამოს საათებში, შებინდებამდე დაესხა თავს. 150 სული გაანადგურეს. მგლები შირაქის ველზე ზამთრის პერიოდში თითქმის ყოველდღე შემოდიან და აზარალებს მოსახლეობას. იარაღის ტარებაზე გარემოსდაცვით ზედამხედველობის დეპარტამენტს პრობლემები აქვს. მგლის მოკვლაზეც ჯარიმაა. ვის არ მივმართეთ, მაგრამ უშედეგოდ“, — უთხრა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ბექა გონაშვილმა.

სანთელი



მეუღლე დალი ორმოცაძე, შვილები ნინო, ქეთევან ქობულიები, შვილიშვილები გიორგი, ნათია ჭელიძეები, ანეტა, ნია გეგეშიძეები, სიძე ზაზა გეგეშიძე, ძმები ანზორ, სპარტაკ ქობულიები, ძმისწულები, რძლები, ბიძაშვილ-მამიდაშვილები, ქობულიების საგვარეულო სანათესავო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

აკაკი მიხეილის ძე ქობულია

დაკრძალვა 11 II, აბაშის რაიონის სოფელ მაიდანში, 14 სთ.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს გაზეთის მთავარ რედაქტორს, ბატონ სპარტაკ ქობულიას ძმის

აკაკი მიხეილის ძე ქობულიას

გარდაცვალების გამო.

აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო თანაუგრძნობენ ბატონ სპარტაკ ქობულიას ძმის

კაკო ქობულიას

გარდაცვალების გამო.

დარეჯან ელიაძე ოჯახით თანაუგრძნობს სპარტაკ ქობულიასა და მისი ოჯახის წევრებს ძმის

კაკო ქობულიას

გარდაცვალების გამო.

◎ SOS!

თან უქიშინებენ, თან სვამენ...

შარშან ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს სკოლის მოსწავლეთა 11 პროცენტს მარიხუანა, ანუ ჰაშიში გასინჯული აქვს, აღნიშნულია ალკოჰოლისა და ნარკოტიკების სასკოლო კვლევათა ევროპულ პროექტში (ESPAD).

ანგარიშში აღნიშნულია, რომ მოსწავლეთა 2 პროცენტს მარიხუანა 13 წლისა და უფრო ადრინდელ ასაკში აქვს გასინჯული. ჩვენში მოსწავლეთა შორის სხვა გავრცელებული ნარკოტიკებია ტრანკვილიზატორები და სედატიური საშუალებები. რაც შეეხება სიგარეტის მოხმარებას, საქართველოში მოსწავლეთა შორის თამბაქოს ნაწარმის გავრცელება 43 პროცენტს შეადგენს. ჩვენი მოზარდი ბიჭები გოგონებზე მეტს ეწევიან (შესაბამისად, 54 და 30 პროცენტი). ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა 21 პროცენტმა თამბაქოს მოწევა 13 წლისამ და უფრო ადრინდელ ასაკში დაიწყო.

ამავე ასაკობრივ კატეგორიაში მოსწავლეთა 22 პროცენტმა ალკოჰოლი თრობამდე დააგემოვნა. ჩვენ მოსწავლეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (85 პროცენტმა) აღნიშნა, რომ ალკოჰოლიანი სასმელი ცხოვრებაში ერთხელ მაინც დაულევია, 43 პროცენტმა კი აღნიშნა, რომ ალკოჰოლიანი სასმელი ბოლო ერთი თვის მანძილზე დალეული აქვს. ყველაზე მეტად ყმაწვილები მოიხმარენ ღვინოს (40 პროცენტი), შემდეგ მოდის ლუდი (36 პროცენტი), სხვა სპირტიანი სასმელები (30 პროცენტი) და სუსტალკოჰოლიანი კოქტეილები (14 პროცენტი). ალკოჰოლს ჭაბუკები ქალიშვილებზე ხშირად მიირთმევენ. გამოკითხულ მოსწავლეთა 33 პროცენტმა განაცხადა, რომ ალკოჰოლს სახლში სვამს, 23 პროცენტმა — რომ სტუმრად, 20 პროცენტმა კი ბარში ან რესტორანში. მოსწავლეთა 73 პროცენტს ცხოვრებაში ერთხელ მაინც მიღებული აქვს ენერგეტიკული სასმელიც.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო გამოკვლევები მსოფლიოს 35 ქვეყანაში ტარდება. საქართველოში ჩატარებულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 190 სკოლის 2477 მოსწავლემ, რომელთაგან 1961 კაცი 1999 წელსაა დაბადებული.

მონატრება

ნინო ნაცვლიშვილი

„ვერ აგისრულე რასაც შეგპირდი,
ველარ მოვედი შენთან“ —

— ველარ მოვედი შვილო, ველარ, რადგან ეს უფლის ნებაა; უფლის ნების გარეშე დავკარგავდი შენთან შეხვედრის შესაძლებლობას. მე კი იმ დღეს დაველოდები, როცა ჩემი ანგელოზი შენს გულს ჩამახუტებს და მერე არასოდეს აღარ დაგვაშორებს ერთმანეთს.

ჩემო ნინიკო, ჩემო სიცოცხლე და გაუნელებელო ტკივილო, მენატრები, ძალიან მენატრები. ერთი წელია, რაც ბედისწერამ დაგვაშორა ერთმანეთზე უზომოდ შეყვარებული დედა-შვილი. მიჭირს უშენობა ჩემო სიყვარულო, ძალიან მიჭირს. წამი არ არსებობს შენთან დაშორების, შენზე ფიქრით ვათენებ და ვაღამებ, ჩემო ერთადერთო. გაუსაძლისი იყო წლევანდელი ახალი წელი, შენი დაბადების დღე (6/01), ნინოობა (27/01) უშენოდ.

ღმერთს შევთხოვ და ვევედრები ნათელში მიმყოფოს შენი სპეტაკი სული. ასევე ლოცულობენ შენზე: მამაშენი, შენი მეუღლე, შენი ანგელოზი შვილები (სანდრო და სალომე). შენი ახლობლები, მეგობრები, თანამშრომლები. შენი მეგობრები და თანამშრომლები არამარტო შენ არ გივიწყებენ, მე არ მტოვებენ უყურადღებოდ, ზრუნვას არ მაკლებენ; ასევე ზრუნავენ და თავს ევლებიან შენს შვილებს.

მადლობა მათ და მადლობა შენც, ჩემო საყვარელო. უზომოდ მიყვარხარ და მენატრები, ჩემო ერთადერთო სიხარულო!

გვაკლიხარ და ენატრები ყველას, ყველასათვის საყვარელო ნინიკო.

გულისტკივილით,
შენი დედიკო ბელა ადამია

გახსენება

გივი ოდიშარიას ხსოვნას

2017 წლის დადგომამ სიხარულთან ერთად ბევრ ოჯახში უდიდესი ტკივილიც მოიტანა.

ორმოცი დღე შესრულდა, რაც გარდაიცვალა უფროსი თაობის წარმომადგენელი, ღირსეული თბილისელი, ჩვენი უფროსი მეგობარი, უკეთილშობილესი ადამიანი, მოქალაქე და საავტომობილო საქმის სპეციალისტი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეტერანი, ბატონი გივი ოდიშარია.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იმსახურა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. პოლიციის პოლკოვნიკი დაჯილდოებული იყო ორდენით და მედლებით, სხვადასხვა რანგის სახელმწიფო ჯილდოებით და სამახსოვრო საჩუქრით. როგორც რესპუბლიკური, ისე საკავშირო და უწყებრივი ხელმძღვანელობიდან მრავალგზის რაიონული მოწვევის დეპუტატი გახლდათ. უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი გივი იყო საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი, მას 80-იან წლებში პერიოდულად მიჰყავდა და მონაწილეობდა ტელე-რადიოგადაცემებში ავტოტრანსპორტის მოძრაობისა და პრობლემების შესახებ. გამოქვეყნებული ჰქონდა მრავალი პუბლიცისტური ჟანრის სტატია პრესაში, აგრეთვე სატირული ხასიათის პამფლეტები და რამდენიმე ლექსის კრებული. კრიმინალთან ბრძოლის წინააღმდეგ მისი დამსახურების შესახებ ვრცელი სტატია მიუძღვნა საკავშირო ჟურნალმა. ბატონი გივი განსაკუთებული პოპულარობით და ავტორიტეტით სარგებლობდა ჩვენს საზოგადოებაში, როგორც თბილისის კოლორიტი, გამორჩეული თამადა და უსაზღვრო იუმორის მქონე ადამიანი.

იგი 84 წლის ასაკში გარდაიცვალა 2017 წლის 1 იანვარს.

მეგობრები

ცინცხალი სიცილნათელები

ჩემგან თქმული



მტრისა ფეხქვეშ
არ გათელოთ პრეს-რუბრიკა,
წაიკითხეთ
„საქართველოს რესპულიკა“,
ეს გაზეთი ისე მიყვარს,
როგორც ვეტრფი „ქართულ სიტყვას“...

მარშალი

სამშობლოში
მარშლებს შენატრიან...
ეჰ, რას ვიზამთ,
ზოგის ტვინი დამშრალია,
პარლამენტში
ყველა სერჟანტია,
ერთადერთი –
ადა მარშალია.

გივი შულაროვს

გინთია უფლის სანთელი,
ია გირჩევნის ვარდებსა,
დღეს შენნაირი ქართველი
ნეტავი ბევრი გვყავდესა...
სიყვარულის გზით მოდიხარ,
რომ მტრის სიძულვილს გამოსცდე
შენ დიდი გვარის მოდგმის ხარ,
ვერ იტან გვარის გამომცვლელს.

ჯანსულ ჩარკვიანი

როცა დაავადება უკან იხევს

ცნობილი სახალხო მკურნალის, ქალბატონ მაყვალა ცინცაძის უძველესი საოჯახო სამკურნალო ტრადიციების გამგრძელებელი **ნანა მელია-პაიჭაძე** წინაპრების მიერ გადმოცემული ტექნოლოგიით სწრაფად და ეფექტურად მკურნალობს ჰაიმორიტს და ასევე მკურნალობს მცენარეული საფენ-მალამოებით **1. ძვალ-სახსროვან დაავადებებს: მარილებს, კისრის, მუხლ-სახსრის, მენჯ-ბარძაყის ართროზს; 2. ოსტეოქონდროზს; 3. რადიკულიტს; 4. დისკოზს; 5. ნერვის და სახსრების ანთებას; 6. ფეხის ტერფის, ჟულის ტკივილს.**

ვისაც გსურთ სწრაფად, ეფექტურად მკურნალობა და უპირატესობას ანიჭებთ საუკუნეებგამოვლილ, აღიარებულ მცენარეულ მალამოებს, შეგიძლიათ, მიაკითხოთ ქალბატონ ნანას მისამართზე: *ქ. თბილისი, წერეთლის მე-3 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული.* ნანა მელია-პაიჭაძე. ტელ: 2 34 62 51. 557 25 66 17. 599 20 19 66.

რამდენი წლისაა მთვარე?

კალიფორნიელ მეცნიერთა **განცხადებით, რომლებმაც მთვარის ზედაპირზე 1971 წელს აღებული გრუნტის სინჯში მინერალი ცირკონი გააანალიზეს, დედამიწის თანამგზავრი იმაზე გაცილებით დიდი ხნისაა, ვიდრე აქამდე იყო მიჩნეული.**

მთავარი დასკვნა ისაა, რომ მთვარე მზის სისტემის წარმოშობიდან 60 მილიონი წლის შემდეგ გაჩნდა.

ახალი შეფასება მკვლევარებს ძველ ჰიპოთეზასთან აბრუნებს, რომლის თანახმად მთვარე დედამიწისა და რომელიღაც კოსმიური სხეულის კატასტროფული შეჯახების შედეგად წარმოიშვა. მაშასადამე, დედამიწისა და მთვარის შემადგენელი ქანები ერთსა და იმავე დროს წარმოიშვნენ.

აზრთა წამკითხველი სოცქსელი?

სოციალური ქსელის „ფეისბუქის“ დამაარსებელმა მარკ ცუკერბერგმა **განაცხადა, რომ იქმნება... აზრების წაკითხვის ტექნოლოგია.**

ამჟამად „ფეისბუქის“ ერთ-ერთი ქვედანაყოფი ახალი თაობის სმარტფონის შექმნაზე მუშაობს, რომლის მთელი რიგი ფუნქციის მართვა უშუალოდ თავის ტვინით იქნება შესაძლებელი. მისი წარმომადგენლის განცხადებით, ეს იქნება ადამიანთა ურთიერთობის ახალ დონეზე გადასვლა.

ამასთან, აღნიშნული ინფორმაციის კომენტირებისას, სპეციალისტები მიუთითებენ, რომ ლაპარაკია არა უშუალოდ აზრთა კითხვაზე, არამედ ადამიანის სურვილის გამოცნობაზე – უახლოეს დროში ჩართოს ტელეფონი, მოინახოს საჭირო მისამართი და ა.შ.

მომავალი, რომელსაც ვერ ვაშენებთ



ფსიქოფილოსოფიის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპის თანახმად, ჩვენ არასდროს ვიცით, თუ რატომ ვიქცევით ასე თუ ისე, ვთქვათ, გავდივართ სახლიდან, ამით ხაზი ესმება იმ გარემოებას, რომ მომავალი ჩვენ სრულიად არ გვეკუთვნის.

ცხადია, რომ მომავალზე ოცნება კია შესაძლებელი, მაგრამ მისი აღშენება შეუძლებელია. არ შეიძლება საკუთარ თავზე თქმა: დღეს მე ცოტას ვიწვალებ, სამაგიეროდ ხვალ ესა და ეს მექნება. ფსიქოფილოსოფოსები გვარწმუნებენ, რომ მომავლისთვის ნებისმიერი გარჯა უაზრობაა, იმიტომ, რომ მისი წინასწარმეტყველება შეუძლებელია.

„მუშაობით“ კი მომავლისთვის მხოლოდ ის სურვილები მუშაობენ, რომლებიც, თავისი არსით, მოქმედებას წარმოადგენენ.

მაგალითად, იმის დაგეგმვა, რომ, ვთქვათ, ერთ წელიწადში დიდ ფულს იშოვით, პირდაპირი გზაა დეპრესიისკენ, ხოლო უფრო სარფიან სამსახურში გადასვლა – ამ მიზნის მიღწევის საუკეთესო ხერხი.

„მაიმუნური“ ფხაჭუნი

სამედიცინო **სტატისტიკით დიდი ხანია, დადგენილია, რომ ათიდან მხოლოდ ერთ ადამიანს შეუძლია მინაზე რაიმე ლითონის საგნის ხახუნის ხმის მოსმენა.**

ამის მიუხედავად, ილინოისის (აშშ) უნივერსიტეტის ფსიქოლოგი დ. ბლეიკი რამდენიმე წლის მანძილზე სწავლობდა ამ უსიამო ხმის გაგონებაზე ქალთა რეაქციას. აღმოჩნდა, რომ ეს ხმა შიშისა და განგაშის გრძნობებს იწვევს, შეუძლია შაკიკის, ზოგჯერ კი, სულაც, ისტერიის შეტევის გამოწვევა.

დოქტორმა ბლეიკმა საშინელი ხრჭიალის აკუსტიკური „ანაბეჭდის“ ბუნებრივ ხმებთან შედარება დაიწყო. აღმოჩნდა, რომ მისი სპექტროგრამა ძალიან დიდი სიზუსტით ემთხვევა აფრიკულ მაიმუნთა ნიშნებს, რომლებითაც ისინი ჯოგს მტაცებლის მოახლოებას ამცნობენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6656; ევრო - 2.8439;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3008;
100 რუბლი - 4.4843; თურქული ლირა - 0.7177;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4292;
1000 სომხური დრამი - 5.4861.

ამინდი 9 თებერვლისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე –1, დღე +5
მთიანი რაიონები - ღამე –5, დღე +5
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +3, დღე +13
მთიანი რაიონები - ღამე –3, დღე +10
თბილისი: ღამე +2, დღე +3

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE